# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელ-ის გასვრა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 14 თებერვალი. 2024 წ. №18 (9698) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## კრემლი: ვფლობ ევროპას!

# წამქეზებლის დიქტატორული მადა




იხ. 3 გვ.

მიხეილ ჯიბუტი:

პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაოდენობით პირველ სამეულშია ქართველები, პოლონელებისა და ამერიკელების (აშშ) შემდეგ

## ამბავი სამი ძმისა და კიდევ სხვათა...



6

მოსაგონარი ქებითა

7





## რონ შავაძის ორგანიზებული მკვლელობის შოკისმომგვრელი ფაქტი საბოლოოდ დაასამარებს „ნაციონალურ მოძრაობას“

იხ. 8 გვ.

## ილია მეორე:

## სოსო ჯაჭვლიანი სამზეოს გამოეთხოვა

კიდევ ერთი ცნობილი და ყველა-სათვის საყვარელი პიროვნება გამო-აკლდა წუთისოფელს. დღეს სოსო (იოსებ) ჯაჭვლიანი ეთხოვება სამზეოს და მარადიულ ცხოვრებას იწყებს.



მიუხედავად მრავალმხრივი შემოქმედებითი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევებისა, ჩვენი ხალხის მეხსიერებაში იგი მაინც „ნატვრის ხის“ გმირად დარჩება, რადგანაც თვითონაც, გედიას მსგავსად, სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების და ვაჟკაცობის მაგალითს იძლეოდა.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ – ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ – მოგმადლოთ მშვიდობა და სოსო-იოსებისთვის ლოცვის ძალა.

## კოლექტიური EPP

# მიშაზე უფრო გამოშტერებული ყოფილა!

პატიმარი სააკაშვილი მიიწვიეს ევროპის სახალხო პარტიის კონგრესზე, რომელიც ბუქარესტში 6-7 მარტს გაიმართება

**„ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი EPP-ის 2024 წლის კონგრესზე მიიწვიეს, რომელიც ბუქარესტში 6-7 მარტს გაიმართება.**

პარტიის ცნობით, მისაწვევი წერილი, რომლის ადრესატი მიხეილ სააკაშვილია, ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტს **მანფრედ ვებერს** ეკუთვნის.

**„ბატონო პრეზიდენტო, მოხარული ვართ, მოგიწვიოთ ევროპის სახალხო პარტიის 2024 წლის კონგრესზე, რომელიც გაიმართება ბუქარესტში, 6-7 მარტს. 2024 წლის კონგრესის, რომელსაც თანამასპინძლობას უწევს ხრუმინეთის ნაციონალური ლიბერალური პარტია, ძირითადი საკითხი იქნება მიმდინარე წლის ევროპული არჩევნებისთვის მომზადება. ევროკომისიის პრეზიდენტობის EPP-ის კანდიდატის წარდგენასა და EPP-ის საარჩევნო მანიფესტის მიღებასთან ერთად, რაც ჩვენი დღის წესრიგის მთავარ საკითხებს შეადგენს, კონგრესი ასევე იქნება მთელი ჩვენი პოლიტიკური ოჯახის შეკრების, რეზოლუციებისა და წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და საარჩევნო კამპანიის ცენტრალური თემების განხილვის შესაძლებლობა. გთხოვთ, იხილოთ თანდართული პროგრამა“,** – წერია ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის მანფრედ ვებერის წერილში, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ავრცელებს...

გვარების წინა-მძღოლთა დარბაზი

9

# ხაჩიძეები

დალი ხაჩიძე



## ირაკლი კობახიძე:

# კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით უფრო მოწინავენი უნდა ვიყოთ!



**პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილება დაეკისრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ლევან დავითაშვილს; თეა წულუკიანს, კულტურისა და სპორტის მინისტრს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობა; აგრეთვე ირაკლი ჩიქოვანს, თავდაცვის მინისტრს, საქართველოს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილება.**



**პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი მიხეილ ფეიქრიშვილი გახდება.**

ირაკლი კობახიძემ ირაკლი ღარიბაშვილს 3 წლის განმავლობაში მთავრობის მეთაურობისთვის მადლობა გადაუხადა, მთავრობის ახალ შემადგენლობას კი წარმატებები უსურვა.

**– დღეს იმართება მთავრობის პირველი სხდომა ახალი შემადგენლობით. მინდა ყველას წარმატებები გისურვოთ. წინა წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა თითოეული თქვენგანის მონაწილეობით ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და ამისთვის კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ. ასევე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს 3 წლის განმავლობაში მთავრობის მეთაურობისთვის და ძალიან ბევრი რამის გაკეთებისთვის ჩვენი ქვეყნისთვის.**

პრემიერმა მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა სტიქიისა და უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილების ახლობლებსა და ოჯახის წევრებს.

მთავრობის მეთაურის თქმით, სტიქიის შედეგად დაახლოებით 400 საცხოვრებელი სახლი დაიტბორა, აქედან 300-ზე მეტ შემთხვევაში დასრულდა ამოტუმბვის სამუშაოები და საბოლოო დასკვნის მომზადებამდე უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 296 ოჯახი.

**გასული კვირა იყო ძალიან მტკივნეული ჩვენთვის. სტიქიამ, ასევე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 14 ადამიანის სიცოცხლე. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ სამძიმარს დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ. ადგილზე გავეცანი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს და მინდა აღვნიშნო, რომ როგორც სახელმწიფო უწყებებმა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს ძალიან ბევრი რამ, იმოქმედეს ძალიან სწრაფად, ძალიან მალე აღდგა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება ასეულობით სოფლისთვის, სადაც იყო პრობლემა სტიქიის გამო. ასევე სწრაფად გაიწმინდა საავტომობილო გზები, აღდგა საავტომობილო მოძრაობა შესაბამის მონაკვეთებზე. ასევე შეფასდა ზარალი, მზადდება სათანადო დოკუმენტაცია იმისათვის, რომ გაიცეს კომპენსაციები, ანაზღაურება შესაბამის ოჯახებზე. საჭიროების შემთხვევაში ამისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდანაც იქნება გამოყოფილი რესურსები. მინდა მადლობა გადავუხადო შესაბამის სამინისტროებს, ვინც ყველაზე აქტიურად იყო ჩართული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ასევე მადლობა მინდა ვუთხრა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაშველებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ სამუშაოებში იყო ჩართული,** – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მთავრობის სამომავლო საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა უნდა იყოს მაგალითის მიმცემი ყველასთვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.

**– ზოგადად, ჩვენი ქვეყანა დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე. გვჭირდება ჩვენი ეკონომიკის სწრაფი განვითარება, დაწყებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების ბოლომდე მიყვანა; გვჭირდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება; განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის სისტემების კიდევ უფრო მეტად გაძლიერება; ასევე ზრუნვა კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობაზე.**

**იმისათვის, რომ მაქსიმალურ შედეგებს მივაღწიოთ, ჩვენი საქმიანობა, მთავრობის საქმიანობა, უნდა ეფუძნებოდეს ძალიან მყარ პრინციპებს. პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ საქართველოს მთავრობა უნდა იყოს მაგალითის მიმცემი ყველასთვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. ჩვენი თითოეული გადაწყვეტილება უნდა იყოს მაქსიმალურად ღია მოქალაქეებისთვის და იმავეს მოვითხოვთ ყველა სხვა სახელმწიფო უწყებისგან.**

**ასევე ჩვენ მუდმივად უნდა ვიზრუნოთ ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის მუდმივად გაუმჯობესებაზე, ხარვეზების მინიმუმამდე დასაყვანად უნდა გავაძლიეროთ ხარისხის კონტროლის და ზედამხედველობის ყველა შესაბამისი მექანიზმი, იგივე ეხება საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხს, აქაც მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ჩვენი მოქალაქეების პრეტენზიები სერვისების ხარისხთან დაკავშირებით.**

**ზოგადად, გადაწყვეტილებები ყველა თემასთან დაკავშირებით უნდა იყოს მიღებული საზოგადოებასთან, სპეციალისტებთან, დარგის წარმომადგენლებთან ძალიან ფართო კონსულტაციების საფუძველზე. ყოველთვის, როცა ვიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებას, საზოგადოებას მაქსიმალურად ფართოდ უნდა განვუმარტოთ ამ გადაწყვეტილების შინაარსი, მიზეზები. ეს უნდა იყოს ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი.**

**ერთ-ერთი აქტუალური საკითხი არის კლინიკური საავადმყოფოს საკითხი და ამ შემთხვევაშიც გვჭირდება შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, ექიმებთან, საავადმყოფოს კოლექტივთან აქტიური კონსულტაციები იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში, სათანადო გადაწყვეტილებები მივიღოთ,** – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქვეყანას აქვს კარგი შედეგები კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

**ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი შედეგები კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, რასაც ძალიან ბევრი საერთაშორისო კვლევაც ადასტურებს, თუმცა აქაც ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო მაღალი ამბიციები უნდა გვქონდეს და ჩვენ უნდა გვქონდეს იმის ამბიცია, რომ ამ თვალსაზრისით ვიყოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის, რაც არის აბსოლუტურად რეალისტური ამოცანა. მთავარია, რომ აქტიურად ვიმუშაოთ ამ ყველაფერზე. ზოგადად, ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი სამთავრობო გუნდი და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ. ყველაფერი არის ჩვენი მიზანდასახულობის, პრინციპულობის, თანმიმდევრული საქმიანობის, შრომისმოყვარეობის საქმე, რაც არცერთ თქვენგანს არ აკლია.**

# სალომე ზურაბიშვილი ისევ უნებართვოდ მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე გაემგზავრა



**პრეზიდენტის კიდევ ერთი უნებართვო ვიზიტი ევროპაში. სალომე ზურაბიშვილი მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად გაემგზავრა. მან ოფიციალური მიწვევა მიუნხენიდან მიიღო.**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ „მთავარ არხს“ დაუდასტურა, რომ **პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან ნებართვის მიღებაზე წერილი არ შესულა.** პარალელურად ცნობილი ხდება, რომ **საქართველოს უსაფრთხოების კონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოადგენს. ახალი პრემიერი კი მიუნხენში არ ჩავა.**

სპიკერების სია ჯერჯერობით მიუნხენის კონფერენციის ვებ-გვერდზე არ დევს, თუმცა ცნობილია, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 50 სახელმწიფო მეთაური, მათ შორის უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი. მან ამის შესახებ ყოველდღიურ ვიდეომიმართვაში განაცხადა. მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია 16-18 თებერვალს გაიმართება. ლიდერები უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში არსებულ კონფლიქტებსა და კრიზისებზე იმსჯელებენ. კონფერენცია დასრულდება დისკუსიებით ევროპის როლზე მსოფლიოში.



## მამუკა მდინარაძე:

# სახელმწიფო ონკოპაციენტებს არასოდეს არ დატოვებს უყურადღებოდ!

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის განცხადებით, ონკოპაციენტების მიმართ სახელმწიფოს დახმარება ისევე გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო. მდინარაძის განმარტებით, ონკოპაციენტებისთვის დამატებითი რესურსის სახით, 25 000-ლარიანი ცალკე პაკეტი გამოიყო.**

მამუკა მდინარაძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტები 25 000-ლარიან პაკეტს ამოწურავენ, სახელმწიფო მათ დახმარებას ჩვეულებრივად გააგრძელებს.

# წამქეზებლის დიქტატორული მადა



„კარლსონმა და ბიჭუნამ ერთმანეთი ერთ უკუღმართ დღეს გაიცნეს, როცა ბიჭუნას სულაც არ უხაროდა პატარა ბიჭობა. საერთოდ, პატარა ბიჭობა ურიგო არ იყო: ყველანი შეჰხაროდნენ, ეფერებოდნენ და, რაც შეეძლოთ, ანებივრებდნენ, თუმცა მაინც გამოერეოდა დღეები, როცა ყველაფერი უკუღმართად მიდიოდა.“

ასტრიდ ლინდგრენი.
„ბიჭუნა და სახურავზე მცხოვრები კარლსონი“
(შვედურიდან თარგმნა ნატო კვარაცხელიამ)




**ტაკერ კარლსონის გადაცემა პირველად როდესაც ვნახე Fox News-ზე, სწორედ მაშინ გამახსენდა სახურავზე მცხოვრები კარლსონი. არ ვიცი კარლსონები რა სიდიდის გვარია, მაგრამ ერთმანეთის ნათესავები რომ იქნებიან – ფაქტია. მათ შორის საგვარეულო მსგავსება ტაკერ კარლსონის Fox News-დან წამოსვლის შემდეგ გამოვლინდა (24 აპრილი, 2023 წ. შეგახსენებთ ეს დაკავშირებულია აშშ-ს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ტრამპის სასარგებლო ცილისწამებასთან კომპანია Dominion Voting System-ის წინააღმდეგ, რომლისთვისაც Fox News-მა აღნიშნულ კომპანიას 767 მლნ. აშშ დოლარი გადაუხადა).**

**ამ პერიოდიდან იწყება მისი რუსეთ – უკრაინის ომში რუსეთის მხარდამჭერი გადაცემები. მაგრამ, იმ დღიდან როდესაც ამერიკის ბინადარი კარლსონი კრემლში პუტინს ზუსტად ისე როგორც-სახურავზე მცხოვრები კარლსონი ბიჭუნა სვანტეს ესტუმრა, დაიწყო მათი ხიფათით სავსე თავგადასავალი, მაგრამ განსხვავებით ამ უკანასკნელისგან, ეს არაა მხიარული, მეგობრობაზე ორიენტირებული თავგადასავალი.**

*  *  *

**ეს ინტერვიუ** (ჩაიწერა 6 თებერვალს, გავრცელდა ღამით 8-დან 9 თებერვალს) და ტაკერის პროფესიული საქმიანობა მრავალგზის გახდება სისტემური განხილვისა და შეფასების საგანი. ჩვენთვის ამ ინტერვიუში მისგან შეიძლება ის მოგვეთხოვა, რომ შეხებოდა რუსეთ-საქართველოს ომს და რუსეთის მიერ მისი ტერიტორიების აშკარა ოკუპაციას (08.08.2008წ.), როგორც რუსეთ-უკრაინის ომის პრელუდიას.

ერთადერთი, რაც ტაკერის შეფასების თვალსაზრისით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ეს იყო პუტინის ნარატივის გამო, მისი გამომეტყველება, დაბორკილი საუბარი, რომელსაც მისი უზარმაზარი გამოცდილების მიუხედავად, ვერაფერი ვერ მოუხერხა. ამასთან, არც ერთ საკითხზე საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს, გარდა ჟურნალისტის (გერშკოვიჩი) გათავისუფლების პერსონალური საკითხისა.

ჩვენთვის მთავარი ინტერესია, პუტინის ორსაათიან ინტერვიუში, რომელიც აშშ და დასავლეთის წინააღმდეგაა მიმართული, ამოვხსნათ პუტინის ზრახვები საქართველოს კონტექსტისათვის. პუტინმა საქართველო ორჯერ გაიხსენა: ერთი, საქართველოსა და უკრაინისათვის 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე მიცემული პოლიტიკური დაპირების გამო, რომ ისინი გახდებიან ნატოს წევრები და მეორე, უკრაინის მხარეს, უცხოელი მოხალისეების წარმომავლობაზე მსჯელობისას. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაოდენობით **პირველ სამეულშია ქართველები, პოლონელებისა და ამერიკელების (აშშ) შემდეგ.**

მთავარი დასკვნა ისაა, რომ ტაკერი ელოდა პუტინისაგან უკრაინაში შეჭრის ნატოს გაფართოების მიზეზით ახსნას, მან კი აღნიშნა, რომ ეს მეორადი მიზეზია. მთავარი მიზეზი ისტორიული სამართლიანობის, რუსეთის იმპერიის მიწების შეგროვება და დასავლეთის მიერ მისი პერსონალური იგნორირებაა.

ყურადღება უნდა მიექცეს პუტინის მიერ წარმოდგენილ ისტორიას. პუტინმა მრავალგზის აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი – სსრკ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) იგივეა, რაც რუსეთი! (ეს უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიის პუტინისეული ინტერპრეაციის გასაგებად.) და ფაქტობრივად ახდენს საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის ცალ-ცალკე ყოფნის არაკანონიერების მტკიცებას. ბრალს სდებს ლენინს უკრაინის შექმნაში. ემხრობა სტალინს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შექმნის იდეაში. ფაქტობრივად ამ ინტერვიუში პუტინმა უარი თქვა საბჭოთა კავშირის აღდგენის იდეაზე და რუსეთის აგრესიულობის საფუძველი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე პრეტენზიებით „დაასაბუთა“. **უარყოფს მეორე მსოფლიო ომის შედეგებს. იქამდე მიდის, რომ მიანიშნებს პოლონეთის შემადგენლობაში გერმანული, უკრაინის შემადგენლობაში უნგრეთისა და პოლონეთის ტერიტორიების არსებობაზე და ამ ქვეყნების მიერ აღნიშნულ ტერიტორიებზე პრეტენზიების კანონიერებაზე ისევე, როგორც აღიარებულ უნდა იქნას რუსეთის პრეტენზიები რუსეთი იმპერიის დროინდელ ტერიტორიებზე! ამ წამქეზებლურ აზრებს ალბათ გამოუჩნდება მომხმარებელი და ის დიდ საშიშროებას წარმოადგენს.** ეტყობა, პუტინი მზადაა უკრაინის საკითხი გადაწყვიტოს ახალი მექანიზმის – მისი ტერიტორიების გადანაწილებით სხვადასხვა ქვეყნებს შორის. რუსეთის სამხედრო ოპერაცია, როგორც ჩანს, უკრაინაში ჩიხშია შესული იმ ზომამდე, რომ პუტინი ცდილობს რუსეთ-უკრაინის ომის „სამოქალაქო ომად“ რებრენდინგს (გადანათვლას).

რა მიზანს ისახავს პუტინი ამ ინტერვიუთი? ესაა მოწოდება დასავლეთისადმი, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სადმი, რათა შესთავაზონ მოლაპარაკება უკრაინასთან დაკავშირებით, რომ ომის დამთავრება გამარჯვებით კი არა, არამედ მოლაპარაკებით დამთავრდეს და შერჩეულია ის დრო, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომი ეკონომიკურად შესამჩნევი გახდა დასავლეთის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ჩემი აზრით, ეს ინტერვიუ გავლენას ვერ მოახდენს კოლექტიური დასავლეთის გადაწყვეტილებებზე და მთავარი მიზანი საარჩევნო მოხმარებისთვისაა: თუ როგორ ელაპარაკება პუტინი დასავლეთს, როგორ ასწავლის ჭკუას, რაც რუსეთის ა.წ. 15-17 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის, მნიშვნელოვანია... ეს უმნიშვნელოვანესია აგრეთვე, რესპუბლიკური ოპოზიციისა და ტრამპის მხარდასაჭერად აშშ 5 ნოემბრის არჩევნებისთვისაც. ეს რომ ასეა იქიდანაც ჩანს, რომ ინტერვიუს დროს პუტინი ხშირად მიუთითებს კარლსონს აშშ-ს ნაცვლად, სწორედ ამაში მდგომარეობდა კარლსონის მოსკოვში ჩამოფრენის მთავარი მიზანი.



**მიხეილ ჯიბუტი**

## რა გაკეთდება 2024 წელს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის?!

**აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს 2024 წლის პროგრამები ამოქმედდა.**

**პროგრამების ფარგლებში ფინანსდება:**

- პროგრამა „დევნილთა სოციალური უზრუნველყოფა“;
- პროგრამა „დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა“;
- პროგრამა „აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერა“;
- პროგრამა „აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება-აბონირება“;
- პროგრამა „სოციალური სოლიდარობა“;
- ქვეპროგრამა „ბინათმესაკუთრეთა მხარდაჭერის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობა“;
- ქვეპროგრამა „დევნილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა“;
- ქვეპროგრამა „დევნილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა“;
- ქვეპროგრამა „აფხაზეთიდან დევნილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარება“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება და შესაბამისი დასკვნის/ცნობების გაცემა;
- პროგრამა „დევნილთა განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა“;
- პროგრამა „იძულებით გადაადგილებულ პირთა იურიდიული მხარდაჭერა“;
- პროგრამა „დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებთა მხარდაჭერის პროგრამა“;
- პროგრამა „დევნილთა მომსახურების ცენტრები“;

პროგრამა „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მეწარმეთა სოციალური გაძლიერება“.

## პარლამენტის წევრები შიდა ქართლსა და სამეგრელოში

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ვოლსკი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე და პარლამენტის წევრები ალუდა ღუდუშაური, გიორგი სოსიაშვილი და ქეთევან ჩარკვიანი საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ.**

პარლამენტის წევრებმა სოფელ ტყვიავში ადგილობრივი მოსახლეობისგან მოისმინეს ინფორმაცია მათი უფლებრივი მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ. შეხვედრის ორგანიზება განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის ფარგლებში, რომლითაც გათვალისწინებულია საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროების შესწავლა და მათზე კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების გზების განსაზღვრა. კომიტეტს დაგეგმილი აქვს შეხვედრების გაგრძელება სხვადასხვა ჯგუფთან. შეხვედრები შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ შაყულაშვილისა და გორის მუნიციპალიტეტის მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის მხარდაჭერითა და მონაწილეობით გაიმართა.

*  *  *

**საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი და პარლამენტის წევრები მიხეილ სარჯველაძე, გენრიეტა წიწავა და ალექსანდრე ტაბატაძე სამეგრელოში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, მდინარე ენგურის ხიდთან და სოფელ რუხში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი უფლებრივი მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ.**



შეხვედრის ორგანიზება განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის ფარგლებში, რომლითაც გათვალისწინებულია საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროების შესწავლა და კომპეტენციის ფარგლებში მათზე რეაგირება. დაგეგმილია შეხვედრების გაგრძელება სხვადასხვა ჯგუფთან.

შეხვედრები სამეგრელოს რეგიონში გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი გუგუჩიას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მამუკა წოწერიას მხარდაჭერითა და მონაწილეობით.



# „დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებშიც“...

**რუსეთი, თუნდაც დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში, აპირებს გააგრძელოს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციის ხელშეწყობა,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **მიხაილ გალუზინმა**.

**„რაც შეეხება თბილისთან დიპლომატიურ ურთიერთობებს, როგორც ცნობილია ის 2008 წელს გაწყდა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ინიციატივით. სამწუხაროდ, მათი აღდგენის შესაძლებლობა ექვემდებარება პოლიტიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ეწინააღმდეგება რეგიონის ახალ რეალობას. ჩვენი მხრივ, დიპლომატიური ურთიერთობების ნაკლებობის მიუხედავად, ჩვენ ვაპირებთ გავაგრძელოთ საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციის ხელშეწყობა“, — განაცხადა მან.**

გალუზინმა რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთქმედების პოზიტიურ დინამიკაზეც გამახვილა ყურადღება.

**„საქართველოს ხელისუფლების პრაგმატული ხაზის წყალობით, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში რთული პერიოდი, რომელიც გამოწვეული იყო 2019 წელს ქართველი რადიკალების ცნობილი პროვოკაციით, დაძლეულია. გასულ წელს გაუქმდა საქართველოს მოქალაქეების რუსეთში მოკლევადიანი მოგზაურობის სავიზო რეჟიმი, რომელიც 2000 წლიდან მოქმედებდა და აღდგა პირდაპირი ფრენები“,** — განაცხადა მან.

რუსი დიპლომატის თქმით, ეს ნაბიჯები დადებითად მიიღო მთავრობამ და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

**რუსეთის პრეზიდენტის 2023 წლის 10 მაისის შესაბამისი ბრძანებულებების შესრულებამ ხელი შეუწყო ჩვენს ხალხებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ხელი შეუწყო ბიზნესწრეებს შორის კონტაქტების გაძლიერებას და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას. გასულ წელს საქართველოს 1.4 მილიონზე მეტი სტუმარი ეწვია რუსეთიდან. რუსეთის მოქალაქეები უზრუნველყოფენ საქართველოს ეკონომიკის ტურისტული სექტორის შემოსავლის მეოთხედს. რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში შეიქმნა რუსულ-ქართული ბიზნესსაბჭო და მის ფარგლებში უკვე გაიმართა ხუთი შეხვედრა“,** — აღნიშნა გალუზინმა.

მისი სიტყვებით, **იზრდება პირდაპირი ავიარეისების სიხშირე და გეოგრაფია, ორი რუსული და ერთი ქართული ავიაკომპანია რუსეთსა და საქართველოს ქალაქებს შორის კვირაში ჯამში 60-ზე მეტ რეისს ახორციელებს.**

მანამდე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, **რომ საქართველოს ხელმძღვანელობა გასულ წელს „რუსეთის მიმართ პრაგმატულ ხაზს“ ატარებდა.**

## ომის შემზარავი სტატისტიკა

**ორწლიანი ომის დროს, რომელიც 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ დაიწყო, უკვე ათიათასობით უკრაინელი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მსხვერპლის ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, რადგან არც ერთი მხარე ზარალს, პრაქტიკულად, არ ასახელებს, რათა სამხედრო მოსამსახურეებსა და ფართო საზოგადოებაში საბრძოლო სულისკვეთება არ დაეცეს.**

### არანაკლებ 10 000 სამოქალაქო პირი

გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისმა იანვრის შუა რიცხვებში გამოაცხადა, რომ დადასტურებულია 10,382 უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და 19,659-ის დაჭრა, მაგრამ დაღუპულთა რეალური რაოდენობა, სავარაუდოდ, უფრო მაღალია. 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის იანვარში, წინა თვეებთან შედარებით, სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რითაც პირუკუ შეიცვალა 2023 წლის დასაწყისში გამოკვეთილი მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის შემცირების ტენდენცია. გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისი შემდეგ მონაცემებს აქვეყნებს: უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაახლოებით 10,000 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 7,000 უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა, ხოლო დაჭრილია 11,000 პირი.

### „ასობით ათასი“ ჯარისკაცი

არც ერთი მებრძოლი მხარე, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, დაღუპული სამხედროების რაოდენობას არ ასახელებს. ვინაიდან ბოლო ოფიციალური მონაცემები 2022 წლის შუა პერიოდით თარიღდება, ამიტომ, მათ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. 2022 წლის სექტემბერში, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ დაღუპულია 5937 რუსი ჯარისკაცი. კიევის მონაცემებით კი, 2022 წლის აგვისტოსთვის, 9000 უკრაინელი სამხედრო იყო დაღუპული.

ამ დროიდან მოყოლებული, ყველა შეფასება უცხოეთის დაზვერვის სამსახურებიდან მოდის. 2023 წლის აგვისტოში, „ნიუ იორკ ტაიმსმა“, ამერიკელ ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ უკრაინის სამხედრო დანაკარგები შეადგენდა 70 000 დაღუპულ და 100 000-დან 120 000-მდე დაჭრილ მეომარს, ხოლო რუსეთმა, დაღუპულთა სახით, დაკარგა 120 000 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო დაჭრილების სახით, — 170 000-დან 180 000-მდე ჯარისკაცი.



# ტრამპის მუქარა და უკრაინა ბაიდენის ახალი დახმარების მოლოდინში

## რა მოხდება საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემდეგ?

**უკრაინა აშშ-ის დახმარების მოლოდინშია, თუმცა სენატმა ორპარტიული სასაზღვრო შეთანხმება და საგარეო დახმარების პაკეტის მიღება დაბლოკა, რომელიც ასევე უკრაინის დახმარებასაც გულისხმობს. ამ პროცესს წინ უძღოდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მოწოდება, აღნიშნული კანონპროექტი არ მიეღოთ. ამის მიუხედავად, უმაღლესი რადას „ხალხის მსახურის“ ფრაქციის თავმჯდომარე, დავით არახამია დარწმუნებულია, რომ აშშ უკრაინის მხარდაჭერას იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუკი დონალდ ტრამპი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს.**

პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში მოლოდინი იმისა, რომ აშშ-ის სენატი საბოლოოდ ამ პაკეტს მიიღებს, არსებობს, რაც მათი ნაწილის შეფასებით, უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაზე პრინციპული უკრაინელების სულისკვეთებაა, რომლებიც მზად არიან იარაღის გარეშეც იბრძოლონ რუსეთის წინააღმდეგ.

უმაღლესი რადას „ხალხის მსახურის“ ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, ამერიკელთა უმრავლესობა უკრაინას აგრესიის მსხვერპლად მიიჩნევს და მისთვის დახმარების აღმოჩენის მომხრეა.

**„აშშ-ში სისტემები, დეპარტამენტები და სამსახურები მოქმედებენ, რომლებიც ბალანსს ინარჩუნებენ. არ ვფიქრობ, რომ დონალდ ტრამპის დროს რაიმე შეიცვლება, თუმცა მცირე რისკები არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს გვარწმუნებს არის ის, რომ ჩვენ აშშ-ის კონგრესში ორპარტიული მხარდაჭერა გვაქვს. უკრაინას მხარს რესპუბლიკელებიც უჭერენ და დემოკრატებიც. ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ისინი პოლიტიკოსები არიან, რომლებიც თავიანთ ამომრჩევლებს უსმენენ“,** — განაცხადა **დავით არახამიამ**.

აშშ-ის პრეზიდენტმა, **ჯო ბაიდენმა** რესპუბლიკელები სასტიკად გააკრიტიკა მას შემდეგ, რაც მათ სენატში ორპარტიული სასაზღვრო შეთანხმება და საგარეო დახმარების პაკეტის წინსვლა დაბლოკა. მისი შეფასებით, დონალდ ტრამპი კანონმდებლებს ანგარიშსწორებით ემუქრებოდა, თუ ისინი პაკეტს მხარს დაუჭერდნენ.

საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში **პაატა ზაქარეიშვილი** აცხადებს, რომ ალბათობა იმისა, ტრამპი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საპატიმროში იჯდეს, მაღალია. მისივე თქმით, არა თუ ერთეული პოლიტიკოსები, არამედ სენატი და კონგრესი იღებს გადაწყვეტილებას.

**„უკრაინელი ხალხი ნაჯახებით გააგრძელებენ ბრძოლას, ბოლოს და ბოლოს. ომი არა ამერიკელებზე, არამედ უკრაინელების ნებაზეა. ამასთან, ამერიკა არ არის პრეზიდენტის სახელმწიფო, იგი არის კონგრესის და სენატის. უფრო რეალური შესაძლოა ის აღმოჩნდეს, რომ ტრამპი ციხეში იჯდეს არჩევნების დღეს, ვიდრე პრეზიდენტის სავარძელში. პრეზიდენტობამდე ტრამპმა სხვა რაღაცები უნდა გაიაროს, პირველ რიგში, სასამართლო“,** — განაცხადა **ზაქარეიშვილმა**.

ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ ამერიკა უკრაინას დახმარებას არ შეუწყვეტს. მისი შეფასებით, უახლოეს მომავალში, უკრაინისთვის დახმარების გაწევის ფონზე, შესაძლოა, მისი კონტრშეტევა ვიხილოთ რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა მარცხის შემთხვევაში, ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

**„დღეს არც რუსეთს და არც უკრაინას არ გააჩნიათ რესურსები, რომ ერთმანეთს შეუტიონ და მიაღწიონ წარმატებას, მაგრამ ორივეს აქვს რესურსი, თავი დაიცვან შემოტევისგან. ზალუჟნის და გენერალური შტაბის შეცვლა ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე მეტყველებს. ამას დაემატება ახალი იარაღი, რომელიც უკრაინაში შედის. შესაბამისად, უკრაინას სარაკეტო შეტევების მეტი რესურსი გააჩნია და გამორიცხული არ არის, რომ აპრილიდან ვიხილოთ მცდელობა შემდეგი კონტრშეტევისა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ეფექტური იქნება. თუ ეს კონტრშეტევაც ჩაფლავდა, დასავლეთმა შესაძლოა, გადახედოს მის რეკომენდაციებს უკრაინის მიმართ და მოლაპარაკებებზე წავიდეს.**

**პუტინმა მის ინტერვიუში რამდენჯერმა ხაზი გაუსვა, რომ მზად არის მოლაპარაკებებისთვის. პუტინი ფარისევლობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რუსეთსაც უჭირდეს, რადგან გრძელვადიანი ეკონომიკური სანქციები მუშაობს. პუტინი ხვდება, რამდენად ინვალიდი სახელმწიფო ხდება რუსეთი 7-8 წელიწადში. თუ პუტინი სერიოზულად ფიქრობს საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გამარჯვებას, მისი პრეზიდენტობის პერიოდში, მოუწევს რუსეთს დაინვალიდება“...**

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, **ირაკლი მენაღარიშვილი** რაიმე დიდ ცვლილებას არ ელოდება და ამბობს, რომ აშშ-ის ურთიერთობა უკრაინასთან იგივე დარჩება საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემთხვევაშიც.

**„რაიმე რადიკალურ ცვლილებას არ ველოდები, ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. აშშ-ის დამოკიდებულება უკრაინისადმი არ არის პარტიული და მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსების პრეფერენციების საკითხი. აქ ურთიერთობას განსაზღვრავს ობიექტური ინტერესები და განსაკუთრებული ცვლილება ამ საკითხებში არ მოხდება.**

**ვფიქრობ, რომ აშშ-ის სენატი უკრაინის დახმარებას მხარს დაუჭერს, თუმცა, ის სირთულეები, რომლებიც წარმოიშვა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.**

**ჩვენ უფრო ოპტიმისტები ვიყავით, ომის პირველ ეტაპზე. ამის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გართულდა, მიუხედავად ამისა, ეს ცვლილება მაინც არ არის პრინციპული ხასიათის“,** — განაცხადა **ირაკლი მენაღარიშვილმა**.

**ნიკო ჩოხელი**



**რკინის გენერალი თანამდებობიდან გადაყენებულია. უკრაინის შეიარაღებული ძალების უკვე ყოფილმა მთავარსარდალმა, ვალერი ზალუჟნიმ ხალხისგან გმირის წოდება დიდი ხნის წინ, პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისგან კი მხოლოდ პოსტის დატოვების შემდეგ მიიღო. რას შეეწირა ზალუჟნი? როგორც სამხედრო ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია ამბობს, ზალუჟნისა და ზელენსკის შორის უთანხმოების მიზეზი კონკურენცია გახდა. უკრაინის პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინ, მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვებით გაარკვია, რომ მთავარსარდლის რეიტინგი მისას გევრად აღემატებოდა. ასევე, მათ შორის დაპირისპირება ჩავარდნილი კონტრშეტევის გამო გამწვავდა.**

ზელენსკის ნდობა **ალექსანდრ სირსკიმ** დაიმსახურა, რომელიც 2019 წლიდან უკრაინის სახმელეთო ძალებს მეთაურობდა, გამო გაკეთდა. სირსკი იყო უკრაინის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი და მასთან არის დაკავშირებული ბახმუტის ჩაბარება. ის ხელმძღვანელობდა ბახმუტის თავდაცვით ოპერაციას. ზელენსკის სურვილია, რომ ომში და კერძოდ ჯარში ახალი მოტივაცია შეიტანოს, ახალი სისხლის გადასხმა მოხდეს. ამბობენ, რომ ზალუჟნი ზელენსკის გარეშე, პირდაპირ ესაუბრებოდა ამერიკელებს. ის ბევრად ადვილად კონტაქტობდა მათთან, ვიდრე ზელენსკი. ვიცი, რომ ზალუჟნი წინააღმდეგი იყო უკრაინის სტრატეგიული მასშტაბით რუსეთზე კონტრშეტევის. ამის მიუხედავად, უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კონტრშეტევა მაინც დაიწყო. საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ზალუჟნი ზელენსკისთან მართალი იყო. ასევე, ზალუჟნის პოპულარობა უკრაინის ჯარშიც და საზოგადოებაშიც ძალიან მაღალია. მასმედიის წარმომადგენლებიც კი, ლამის, ზალუჟნიზე ლოცულობენ.




# უახლოეს დღეებში უკრაინაში ურთულესი საომარი ვითარება შეიქმნება!




ასევე, ხელმძღვანელობდა საოკუპაციო ძალების შეტევის დროს კიევის თავდაცვას და ხარკოვის გამათავისუფლებელ კონტრშეტევას.

**— უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ, საბოლოოდ, მაინც მიიღო შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ვალერი ზალუჟნის გადაყენების გადაწყვეტილება. მის ადგილას სახმელეთო ძალების გენერალი სირსკი დანიშნა. პირველ რიგში, რა რეაქციას გამოიწვევს ეს უკრაინის ჯარში და რა არის მიზეზი, რის გამოც ზალუჟნის სირსკით ჩანაცვლება გადაწყდა?**

**ვახტანგ მაისაია:** დავიწყოთ იქიდან, რომ სირსკი არ არის ზალუჟნის გუნდის წევრი და, ალბათ, აქცენტიც მასზე ამის

**— ფიქრობთ, რომ ზალუჟნის მზარდმა რეიტინგმა ზელენსკი შეაშინა და მისი თავიდან მოშორება ამ ფორმით გადაწყვიტა?**

— გასაგებია, რომ ზელენსკის სრული უფლებაა შეცვალოს და დანიშნოს ის, ვინც უნდა, მაგრამ საქმეს რამდენად წაადგება ესაა მთავარი... მე ვიცი, რომ დასავლეთიდანაც იყო წინააღმდეგობა, რომ ზალუჟნი არ უნდა გადაეყენებინა, მაგრამ ფაქტია, რომ ზელენსკის განზრახვა ვერავინ გადააფიქრებინა. ზალუჟნი ასოცირდება გამარჯვების სიმბოლოსთან. მხოლოდ ზალუჟნის ბრალი არ არის მასობრივი სტრატეგიული კონტრშეტევის ჩაშლა, მით უმეტეს ის ამას ეწინააღმდეგებოდა.

**— რა შეგვიძლია სირსკიზე ვთქვათ? რით გამოიჩინა მან თავი ამ ომში, გარდა იმისა, რომ ბახმუტის დაკარგვასთან არის ასოცირებული? მას ე.წ. „ყასაბადაც" მოიხსენიებენ, რომელიც უფრო უხეშია და ჯარში მკაცრი გენერლის სახელით არის ცნობილი.**

— სირსკის კისერზეა ბახმუტის დათმობა და კი ბატონო, ის როგორც ამბობენ, არ გამოირჩევა კარგი ხასიათით. უფრო ხისტი პიროვნებაა. მაგას სჯობდა აერჩიათ გენერალი შატავა, რომელიც უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი იყო. თუმცა ის ზალუჟნის კადრია და, როგორც ჩანს, ზალუჟნის კადრი არ სურდათ. სიტუაცია ფრონტის ხაზზე ისევ ძალიან რთულია. ავდიევკაში ოპერატიულად უმძიმესი მდგომარეობაა. არ არის გამორიცხული, რუსებმა 2015 წლის დებელცევოს სცენარი გაიმეორონ, როდესაც უკრაინის შეიარაღებული ძალები ალყაში მოაქციეს და სამწუხაროდ, გაანადგურეს.

**— ამერიკის ჰაერში გამოკიდებულ დახმარებაზე უნდა გკითხოთ. მას შემდეგ რაც 7 თებერვალს ჩავარდა კონგრესში უკრაინის დახმარების კანონპროექტი, დემოკრატებმა სენატს ახლა 8 თებერვალს წარუდგინეს ალტერნატიული კანონპროექტი, რომელიც აღარ მოიცავდა საზღვრის საკითხს და მხოლოდ უკრაინის, ისრაელის და ტაივანის დახმარებას ეხებოდა. რა მოლოდინი გაქვთ თქვენ და რამდენად აზიანებს ეს უკრაინის წინსვლას ფრონტის ხაზზე?**

— ეს ჩავარდნა ნამდვილად ძალიან ცუდად მოქმედებს უკრაინის ომში განვითარებულ მოვლენებზე. ღმერთმა იცის ამ კანონპროექტს საბოლოოდ დაუჭერენ თუ არა მხარს. ტრამპს აქ კიდევ უფრო დიდი გავლენები აქვს და როგორც ბაიდენმა განაცხადა, ის სენატორებს პირადად ურეკავდა და კანონპროექტზე მხარდაჭერისგან თავის შეკავებას ურჩევდა. მათ აშინებდა და შურისძიებით ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, უკრაინა ფრონტის ხაზზე ძალიან მოწყვლადია. მართალია, ევროკავშირმა 50-მილიარდიან პაკეტს მხარი დაუჭირა, მაგრამ ეს 4 წელზე გადანაწილებული დახმარებაა. გამოდის, რომ უკრაინა ამ წელს 12-დან 13 მილიარდამდე დოლარის დახმარებას მიიღებს. ერთი შეხედვით კი არის სოლიდური დახმარება, მაგრამ მაინც ყველაფერი ამერიკის დახმარებაზეა აწყობილი. ეს არის „ლენდლიზი 2"-ის დახმარება, რომელიც ამერიკამ ბაიდენთან დაიწყო გასული წლიდან მოყოლებული. ამიტომ არ ვიცი რა შეიძლება ამ ყველაფერმა გამოიწვიოს. საუბარია, რომ მესამე ქვეყნის საშუალებით მიაწოდოს ამერიკამ უკრაინას დახმარება, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი.

**— აქვს თუ არა ახლა რუსეთს იმის რესურსი, რომ უკრაინაზე კონტრშეტევა დაიწყოს? ყოველთვის იყო საუბარი იმაზე, რომ ის ელოდებოდა სწორედ ამერიკის მხრიდან ამ დახმარების ჩავარდნას. რომელი მიმართულება აღმოჩნდება რუსეთის სამიზნე?!**

— სამწუხაროდ, რუსეთს ამის რესურსი აქვს. ყუმბარების გამოყოფის რესურსი, დაახლოებით, 1/10-ზე მივიდა. პირობითად, თუკი უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შეუძლია 2000 ერთეული ყუმბარის გასროლა, რუსებს შეუძლიათ ათი ათასი. რუსეთს ამის გათვალისწინებით შეუძლია მოახდინოს თავისი შეიარაღებული ძალების გადაჯგუფება და ძირითადი იერიში ლიმანი-ხარკოვის მიმართულებაზე მიიტანოს. მეორე იქნება დონბასისა და ლუგანსკის ტერიტორიებზე შეტევა, რითაც ოკუპაციის პლაცდარმის გაფართოებას შეძლებს. ყველა ვარიანტში შეძლებენ ლიმანი-ხარკოვის მიმართულებით წარმართონ და დაიბრუნონ პოზიციები. რუსებმა თავის შეცდომებიდან ისწავლეს უკვე და ხდება რუსების შეიარაღებული ძალების რეფორმირება. პლუს კიდევ, რუსებმა „ვაგნერის" და სხვა საბრძოლო კომპანიები გადაიფორმეს. ამიტომ, შესაძლოა, ფრონტის ხაზზე უკიდურესად კრიტიკული ვითარება „შექმნას".

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# ვიქტორ ორბანი ისევ პუტინის მხარეზეა!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი აცხადებს, რომ უკრაინა არ უნდა მიიღონ ევროკავშირში ან ნატოში და უმჯობესია, დარჩეს „ბუფერულ ზონად" რუსეთსა და დანარჩენ ევროპას შორის, რომელსაც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების გარკვეული გარანტიებით. როგორც „ევროპეისკაია პრავდა" იუწყება,** — ამის შესახებ მან ავსტრიის ყოფილ კანცლერ ვოლფგანგ შუსელთან საუბრისას განაცხადა.

**„მოგწონთ თუ არა, უკრაინა რუკაზე იქაა — სადაც არის. საუკეთესო პერსპექტივა არის ის, რომ ის იყოს „ბუფერული ზონა" რუსეთსა და დასავლეთს შორის — რა თქმა უნდა, უსაფრთხოების გარანტიებით. თუ ეს არ დაეხმარება, უკრაინა დაკარგავს ტერიტორიებს. რუსეთი ისევ და ისევ დაანგრევს უკრაინას. რუსეთი არასოდეს, არასდროს შეეგუება საკუთარ საზღვრებთან ევროკავშირისა და ნატოს ისეთი წევრის გამოჩენას, როგორიც უკრაინაა",** — განაცხადა ორბანმა.

ამავდროულად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი თვლის, რომ 2008 წელს მართლაც იყო შესაძლებელი უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში მიღება, მაგრამ ეს შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული და მასთან ერთად **„უკრაინის პერსპექტივები ევროკავშირსა და ნატოს მომავალი წევრობის".**



შუსელის შენიშვნის საპასუხოდ, რომ ახლა ცეცხლის შეწყვეტა რეალურად ნიშნავს უკრაინის დამარცხებას, ორბანმა თქვა, რომ შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევხედავთ მომავალს, რადგან ომის ცხელი ფაზა გრძელდება, უკრაინამ შეიძლება დაკარგოს კიდევ უფრო მეტი ტერიტორია.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ასევე არ დაეთანხმა არგუმენტებს, რომ უკრაინის გაწევრება დაიცავს ევროპას, რადგან ევროკავშირის თითქმის ყველა წევრი უკვე ნატოს წევრია და ეს ალიანსი რუსეთზე ძლიერია.

**„არ არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი თავს დაესხმება ნატოს წევრ ქვეყანას",** — ამტკიცებს ვიქტორ ორბანი.

მან ასევე თქვა, რომ რუსეთი არასოდეს მიიღებს სერიოზულ პარტნიორად უკრაინას მოლაპარაკებებში!..


ლაშა გახარია და ავთანდილ გაფრინდაშვილი.

# მოსაგონარნი ქებითა

## ამბავი სამი ძმისა და კიდევ სხვათა...

2004 წლის 14 თებერვალს ყვარელში **ავთანდილ გაფრინდაშვილს** დავემშვიდობეთ... იმ ღამით **ლაშა გახარია** გაუყვა გზას ზეციური საქართველოსკენ; მარტო არ გაუშვა სიყრმის მეგობარი... 20 წელი გასულა... თითქოს გუშინ იყო...

ჩვენ უკვე ვიცოდით მეგობრის წასვლით მოგვრილი ტკივილის ფასი – **ზაზა დარასელმა** გვასწავლა: 2001 წლის ივლისში ვერაზე გაიჭრა სამარე, დღესაც რომ გვტკივა „გაჩეხილ წარზის მსგავსად" (ა. გაფრინდაშვილი)...

თამაზ ხმალაძე და მე ვსხედვართ და ბიჭების მოსაგონარს ვამბობთ... მოგონებათა ჯაჭვს სტუდენტობამდე ჩავყევით...

ჩვენმა სტუდენტობამ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ჩაიარა. ჩვენ, ასე ვთქვათ, „სტუდქალაქის თაობა" ვართ... გული მწყდება, რომ ის „სამყარო" დავიწყებას ეძლევა... არადა, ვფიქრობ, ბევრი რამ მოგვცა... სტუდქალაქი, უნივერსიტეტის ბაღთან ერთად, კიდევ ერთი „უნივერსიტეტი" იყო, სადაც ზოგად განათლებას ვიღებდით (ასე მხოლოდ ჩვენი თაობა არ ფიქრობს...).

დიახ, ის გვასწავლიდა მეგობრობას, ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობას, თანადგომას, სიყვარულსა და გატანას – ნამდვილ კაცობას... რაც მთავარია, ყოველივე ამისათვის საჭირო გარემო შექმნა – სამეგობრო შეკრა: ავთო გაფრინდაშვილი, თამაზ ხმალაძე, თამაზ ტყემალაძე, მიხეილ არაბული, კობა არაბული, თამაზ წივწივაძე, სოსო სიგუა, ვალერი ასათიანი, სპარტაკ ქობულია... ჩვენი ინგილო მეგობრები – ქემალ ისმაილოვი თუ ასრათ ასრათოვი... რომელი ერთი... ვინც ჩამოვთვალე, „ღვიძლი სტუდქალაქელები" არიან, მაგრამ ჩვენს პატარა ღარიბულ ოთახში თითქმის „ჩასახლებულები" – ლაშა გახარია თუ გოჩა ხუნდაძე, ზაზა დარასელი თუ ვოვა კიკილაშვილი, შოთა ქავთარაძე თუ ვანო ჩხიკვაძე და რამდენი სხვა... ხელნაწერი ჟურნალები, სტუდქალაქური „პოეზიის საღამოები"...

ახლა შეუძლებელია სრულად იმის გააზრებაც კი, სტუდქალაქმა რა შეგვძინა, რა როლი ითამაშა ჩვენს ჩამოყალიბებაში... მაგრამ იმის წარმოდგენა უფრო ძნელია, უამისოდ რა ვიქნებოდით...

ჩვენი დროის სტუდქალაქი დიდად პოპულარული იყო. ხუმრობდნენ, „სვანებს სამი დედაქალაქი აქვთო": მესტია, ლენტეხი და სტუდქალაქი. ერთი ქალაქური სიმღერის სახალისო ვარიანტსაც მღეროდნენ:

**„რომ წაგიყვანო, სად წაგიყვანო,**
**სახლი არა მაქვს, სად მიგიყვანო,**
**სტუდქალაქში წამოდიო"...**

* * *

**ჩვენ ხომ მხოლოდ მწერლობისა და ხელოვნების სიყვარული არ გვაკავშირებდა, – როგორც თამაზ ხმალაძე წერს ერთგან, – იდეოლოგიაც საერთო გვქონდა; მთავარი იდეოლოგი ილია იყო და რეესტრში გაუტარებელი, გაუფორმებელი ერთი „პარტიის" წევრები ვიყავით; ამ „პარტიას" პირობითად „საქართველო" ერქვა... სადავოსა და საპაექროს რა დაგვილევდა, ვკამათობდით ხოლმე და ზოგჯერ ძალზე ცხარედაც, მაგრამ როცა სამშობლოს სიყვარულსა და ილიელობაზე მიდგებოდა საქმე, ჩვენი აზრთა სხვაობა იქ მთავრდებოდა...**

თამაზ ხმალაძე ამას წინათ ამასაც წერდა: ადამიანი დედამიწაზე მოვლინების ხანას თვითონ არ ირჩევს; თუ კაცი დავით აღმაშენებლის ან თამარის დროს დაიბადა, ეს მისი დამსახურება არ არის... აქედან გამომდინარე, არც რა დანაშაული იმას ჩაუდენია თავისი დაბადებით, ვინც მონღოლთა ბატონობისას, ან საბჭოთა ეპოქაში მოევლინა ქვეყანასო...

დიახ, ეს ასეა და ამ ლოგიკით, პიროვნების დამსახურება (თუ დანაშაული) ისაა, ვის გაიხდის მეგობრად და, მე ვიტყოდი, ვის შეარჩევს სტუდქალაქში თანამეოთახედ...

1967 წელია. ავთო გაფრინდაშვილი პირველ კურსზეა; თამაზ ხმალაძე და მე – მეორეზე... სამივენი ვაკის სტუდქალაქში ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით (V კორპუსის მე-15 ოთახში)... თამაზ ტყემალაძე ავთოს ბავშვობის მეგობარია... იმჟამად „გეპეიში" სწავლობდა, პირველ კურსზე იყო ისიც... ქალაქში ცხოვრობდა, ცხაკაიას ქუჩაზე (მამიდაშვილთან)... მაგრამ, ასე ვთქვათ, ისიც ჩვენთან „ცხოვრობს" სტუდქალაქში, ღამით მიდის ცხაკაიას ქუჩაზე...

მერე მოგვიანებით ვითარება ასე ლაგდება: თამაზ ტყემალაძე ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება და მე-15 ოთახიც შეივსო: თამაზ ხმალაძე, ავთო გაფრინდაშვილი, თამაზ ტყემალაძე და მე...

მდიდარი ფანტაზიით გამოირჩეოდა სხვებისაგან თამაზ ტყემალაძე... ვფიქრობ, ეს მისი „იმერული ბუნების" თანმდევი თვისება იყო. ნუ გაიკვირვებთ: ეს არ არის ჩემი, როგორც იმერლის, სურვილი და თავმოწონება; მიფიქრია ამ თემაზე; ეს ფაქტად მიმაჩნია... და თამაზ ტყემალაძის ფანტაზიას „სხვა სახელი" რომ არ დაერქვას, ერთ გადახვევას გავაკეთებ: ჩავიკითხავ ამონარიდს ერთი ესედან; რომელშიც პიროვნულ სახელს ნაცვალსახელით ჩავანაცვლებ:

**„მას დიდი ფანტაზია** ჰქონდა. თანვე **ტყუილი** იცოდა... რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს" რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება" კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით), „ტყუოდა" ისე: თითქო ჰსურდა ესიამოვნებია მობაასე. უსმენდი **მას** და გიკვირდა მისი „ფანტაზია". საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონ სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა"...

როგორ ფიქრობთ, ვისზეა საუბარი?... – არა... ასე ერთი ქართველი კლასიკოსი ახასიათებს მეორე ქართველ კლასიკოსს: **გრიგოლ რობაქიძე აკაკი წერეთელზე** საუბრობს. ჩანაწერს „ფანტაზია თუ ფანტასტიკა" ჰქვია...

**ფანტაზია** სხვა რამეა და **ტყუილი** სხვა რამეო! – ასე გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს; და ასე ფიქრობს დავით კლდიაშვილიც...

„სამანიშვილის დედინაცვლიდან" ის ეპიზოდი გავიხსენოთ, ბეკინა თავის გამოულეველ სარჩო-საბადებელზე რომ საუბრობს. პლატონმა იცის, რომ არაა სიმართლე, რასაც ისმენს, მაგრამ მაინც ისმენს; ბეკინამ იცის, პლატონისათვის ნათელია მისი ნათქვამის ჭეშმარიტება, მაგრამ მაინც ლაპარაკობს... მწერლისათვის ეს „ტრაბახობაა", „მეტისმეტია", „გადაჭარბებაა", „ფანტაზიორობაა"...

„ტყუილი" სხვა რამეა; ტყუილი ისაა; უბედურების მომტანი რომ არის ვიღაცისათვის; ტრაგიკული შედეგები რომ შეიძლება მოჰყვეს; იმედგაცრუება, „უპირულობა"... ტყუილი ისაა, რასაც „სჩადიან" სოლომან მორბელაძის მიმართ...

მეც ასე ვიტყვი: თამაზ ტყემალაძეს დიდი ფანტაზია ჰქონდა და ეს „ტყემალაძის ფანტაზია" განსაკუთრებით ჩვენს სტუდქალაქურ ცხოვრებაში ხალისისა და მხიარულების შემომტანი იყო...

მაშ ასე: სტუდქალაქი, მე-3 კორპუსი, ოთახი №15.

**ავთო გაფრინდაშვილი** უბადლო ტალანტი იყო... თაობაში ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი... „იმდროინდელი გოგო-ბიჭები" დღესაც რომ ვხვდებით, ავთოს ლექსებით ვიწყებთ საუბარს:

**„ისე მომენატრე, ისე..."**

**„ზღაპარ-ზღაპარ მოვდიოდით... ო, რა კარგი ზღაპარ იყო..."**

არა მხოლოდ პოეტი, პიროვნება იყო გამორჩეული: წყნარი, მშვიდი, კეთილი, ღიმილიანი, საქმიანი და უღალატო...

არ მეგულება ჩვენს თაობაში ვინმე, ავთოს ერთი ლექსი მაინც რომ არ სცოდნოდა... ერთმანეთთან ვიწონებდით (და ვიწონებთ) თავს ავთოს ლექსების ცოდნით... მოგვიანებით მესტიაში, ჯაფარიძეების ოჯახში, მითხრეს ავთოს „სვანური ლექსი", სტუდენტობისას სვანეთში რომ დაწერა:

**„სგიმზე მიდის ხოჩა დინა,**
**მზე მიუძღვის წინ,**
**შენს მკლავებზე დამაძინა,**
**მიშგუ ლადეღ სი.**
**მამაშენსაც ვეტყვი ბარემ,**
**სხვაც მიუტანს სგიმს,**
**შენ კი კენტად ვერ გატარებ,**
**მიშგუ ლადეღ სი!"**

ლექსი ყველამ იცოდა, ავტორი – არა... მსგავს ამბავს თამაზ ხმალაძეც მიყვებოდა: ერთ სატელევიზიო გადაცემაში მსახიობმა ავთოს ლექსი წაიკითხაო; ჰკითხეს, ვინაა ავტორიო და, არ ვიციო... ესეც ბედია პოეტისა...

ავთოს პოეზია ჩვენი ცხოვრების ღვიძლი ნაწილი იყო და არის დღესაც...


ზაზა დარასელი.

* * *

**ვისაც ახსოვს გასული საუკუნის 60-70-იანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე, არ შეიძლება სასიამოვნო ღიმილით არ გაიხსენოს ის პოეტური საღამოები, როცა დაზმირ (ლაშა) გახარია ეცნობოდა ქართველ მკითხველს... საოცრად ქართული, ვაჟკაცური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი, ორიგინალური პოეტური ხმით, დიქციით, ლამაზი დეკლამაციით... „ლექსს წაიკითხავსო", რომ იტყოდნენ, ტაში იქუხებდა დარბაზში... დამთავრებისას ბოლო არ უჩანდა ოვაციებს... არ ვაჭარბებ... მხოლოდ ერთი – ავთანდილ გაფრინდაშვილი – თუ უდებდა ტოლს...**

ასე იყო: მოუთმენლად ველოდით პოეზიის საღამოებზე მათ გამოსვლას. ლექსს ლექსზე ათქმევინებდნენ და ავთო გაფრინდაშვილი ბოლოსთვის შემონახულ ლექსს – „გაზაფხულდება და ორღობეში იფეთქებს შინდი" – რომ წაიკითხავდა, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა – „მეზობლის გოგო ისე შემოგხედავს, კაი ბიჭი ხარ და დარჩები მშვიდიო", ინგრეოდა დარბაზი... ასევე იყო დაზმირ გახარიაც (ლაშა არ ერქვა მაშინ...); სხვა რიხით, სხვა შემართებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცური ინტონაციით... ბოლოსთვის შემონახულ ლექსს – „პაემანი სადგურში" – რომ ჩაათავებდა, წინ გადმოშლიდა გრძელ ხელებს და იტყოდა – „შენ ცივ რელსებით სადღაც მიჰქროდი, რელსები... ჩემი ხელები იყოო", – ინგრეოდა დარბაზი... ორივეს ჰქონდა დიდებული ლექსი ყივჩაღზე – ორიგინალურად დანახული ისტორია მუხრანის ბოლოს ტრაგიკულად აღსრულებული „ქართველთან ცოლზე მოცილე" (ლაშა გახარია) ყივჩაღისა... „ცოლი არავისთვის წაერთმია" (ავთო გაფრინდაშვილი) და საბედისწეროდ ესეც სცადაო...

თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს...

* * *

**ჩვენს პატარა სტუდქალაქურ ოთახში ყოველთვის სიმრავლე იყო მეგობრებისა; ზოგჯერ საწოლზე ჩამოსაჯდომი ადგილიც აღარ რჩებოდა... სტუდქალაქური ცხოვრების „წესით" გვიანობამდე ვფხიზლობდით: ვკითხულობდით, ვწერდით, ვმსჯელობდით, ვთამაშობდით (დომინოს) ან ვლხინობდით... („ქალაქელ სტუდქალაქელებს" ზოგჯერ ფეხით უწევდათ წასვლა – ტრანსპორტი აღარ მუშაობდა...).**

ლხინის დროს ზოგჯერ ავცდებოდით „ჩვენი შესაძლებლობის ზღვარს" და დილით ვიწყებდით წუხანდელი ღამის მოვლენათა „აღდგენას" (ალაგ-ალაგ მახსოვრობის პრინციპით) და ასე – საუბრით, სიცილით, მხიარული ამბების გახსენებით – „გამოვდიოდით პახმელიაზე"...

აი, აქ იჩენდა თავს თამაზ ტყემალაძის „ფანტაზია"...

ზოგჯერ (პლატონ სამანიშვილისა არ იყოს), ჩვენც ვიცოდით მოთხრობილი ამბის „სიმართლისა" და მაინც ვისმენდით სიამოვნებით... ბეკინასი არ იყოს, თამაზ ტყემალაძემ იცოდა, ჩვენ რომ ვიცოდით ჭეშმარიტება მოთხრობილი ამბისა და მაინც თხრობდა გატაცებით...

საუბრის თემატიკა ძირითადად სახალისო იყო... ჩვენც ვყვებოდით სხვადასხვა ამბავს – ტყუილ-მართალს, მაგრამ ძირითადად ტყემალაძეს უხდებოდა ჩვენი „პახმელიაზე გამოყვანა"; „კითხვებზე პასუხის გაცემა"....

კითხვების დასმის დიდოსტატი ხმალაძე იყო... ამბავს ამბავი მოჰყვებოდა და ჩვენც „ვბრუნდებოდით ამ სამყაროში"...

* * *

**ჩვენი სტუდქალაქური ცხოვრების რეჟიმი, წესი არ ეთანხმებოდა სტუდქალაქის შინაგანაწესს (ზოგი ჩვენი მეზობელიც ჩვენნაირი რეჟიმით ცხოვრობდა...); ამას ისიც ემატებოდა, რომ მეორე ცვლაში ვსწავლობდით... ხმაურობენო, არ გვაძინებენო, – გვიჩიოდნენ „წესიერი სტუდენტები"... კორპუსის კომენდანტმა რამდენჯერმე მიგვანიშნა ამის თაობაზე... კორპუსს თავისი კედლის გაზეთი ჰქონდა და...**

ერთ დღესაც გამოფინეს ჩარჩოში ახალი ნომერი კედლის გაზეთისა და... ჩვენს ოთახზეა წერილი – ხელს უშლიან სტუდენტების მშვიდ ცხოვრებასო... ეტყობა, კომენდანტმა ჩვენი „გამოსწორება" მოინდომა... არადა ვეღარც წარმოგვედგინა უსტუმრო დღე (თუ სტუმრები ერქვა ჩვენს სამეგობროს)... „ფანტაზიების საამქროში" გაჩნდა იდეა გაზეთის ჩანაცვლებისა... საქმეში სამეგობროც ჩაერთო...

იმ დღესვე, გვიან ღამით, გავხსენით გაზეთის ჩარჩო, ჩამოვხსენით გაზეთი, გადავაბრუნეთ; თემები უკვე განაწილებული „გვქონდა"... ავთო გაფრინდაშვილი აფორმებდა გაზეთს...

საერთოდ ავთო მრავალმხრივი ნიჭის პატრონი იყო: დიდებული პოეტი, მშვენიერი მხატვარი, ჩინებული კალიგრაფი...

და მეორე დღეს ჩარჩოში ახალი გაზეთი იხილეს, ბრწყინვალედ გაფორმებული, ილუსტრირებული; პაროდიებითა და ფელეტონებით დამშვენებული... მთავარი პერსონაჟი გაზეთისა ჩვენი კომენდანტი იყო... იუმორი, ირონია, სარკაზმი არეული იყო ერთმანეთში...

დილით წამკითხველთა რიგი იდგა გაზეთთან... იყო სიცილ-ხარხარი...

„დამნაშავეს" ადვილად მიაგნეს, მაგრამ გადავრჩით... კომენდანტი „გაგვებუტა" და ჩვენც „განვიმტკიცეთ ავტონომიურობა"...

* * *

**1968 წელს ხელნაწერი ჟურნალის იდეა გაჩნდა.** ეს ავთო გაფრინდაშვილის იდეა იყო. სულ ხუთი ნომერი გამოიცა; („ტირაჟი 1 ცალი“). ჩემთან ინახება მეოთხე ნომერი (მე-3 თამაზ ხმალაძესთანაა; დანარჩენი სად არის, არ ვიცი).

**„ფაზისი“.** №4. დეკემბერი. 1968 წელი. სტუდქალაქი.

მე-15 ოთახის ახალგაზრდა მწერალთა კავშირის ორგანო

მთავარი რედაქტორი: თამაზ ტყემალაძე; სარედაქციო კოლეგია: მიხეილ არაბული, ავთანდილ გაფრინდაშვილი (პ/მგ. მდივანი), გოგი გოგოლაშვილი, თამაზ ხმალაძე...

ნომერი გააფორმა ავთანდილ გაფრინდაშვილმა.“

ავტორები? – ისევ საძმო-სამეგობრო... გემოვნებით შერჩეული მასალა...

ჟურნალმა ბევრი „უცნობიც“ დააინტერესა, მაგრამ წმინდა ლიტერატურული ხასიათისა იყო და რას იზამდნენ...

ამ საქმეში ჩვენი წვლილი ცოტა იყო; ავთო გაფრინდაშვილის მრავალმხრივი ნიჭის გამონათება იყო ესეც...

* * *

**თეატრი გვიყვარდა. სტუდქალაქური ცხოვრების ნაწილი იყო თეატრი. შეძლებისდაგვარად სპექტაკლს არ გამოვტოვებდით რუსთაველსა თუ მარჯანიშვილში... მერე იყო დისკუსიები...**

ავთომ და თამაზ ტყემალაძემ ლამის ზეპირად იცოდნენ რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ჭინჭრაქა“; მთელი პასაჟები, ეპიზოდები... ავთო „ქოსიკოს“ ეძახდა თამაზს (ტყემალაძის „ფანტაზიის“ ასოციაცია ჩანს ამ სახელდებაში)...

ჩემთან, სოფელში წავიდეთო, ავთომ გვითხრა ერთხელ მე და თამაზ ხმალაძეს. ჩავსხედით ავტობუსში, ჩავედით ბალღოჯიანში (ყვარელი). რამდენიმე დღე დავყავით ავთოს სულის შესაფერის გარემოში: ლამაზი, მშვიდი, ხალისიანი გარემო... ჭეშმარიტი ქართული ოჯახი... ესეც მიფიქრია: ადამიანის სრულყოფილად შეცნობისათვის აუცილებელია მისი მშობლიური გარემოს გაცნობა... ეს ფიქრი ბალღოჯიანში სტუმრობამ გამიჩინა... (და ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა მაშინ, როცა მუხურში ლაშა გახარიას ვესტუმრეთ და „სამეგრელოში ჩვენი წილი საქართველო აღმოვაჩინეთ...“)

სამწუხაროდ, არ აეწყო ავთოს ცხოვრება მისი ნიჭის შესაფერისად... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ყვარელს დაუბრუნდა. იქ განაგრძო მოღვაწეობა... აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას განზე განუდგა...

დაძვირდა შეხვედრები...

2004 წლის 14 თებერვალს ყვარელში რომ „მიგვიწვია“, ვთქვით უკვე...

ბალღოჯიანში გაჭრილი სამარის პირას ავთოს ხმა ჩაგვესმოდა:

**„ახლაც და მერეც მომენატრებით,**
**როცა გაჩეხილ წარბის მსგავსად**
**გეტკინებათ ჩემი სამარე...“**

ვთქვით ზემოთ: მეგობრის წასვლით გამოწვეული ტკივილის ფასი ვიცოდით უკვე...

დიახ, სამეგობროში, „გაჩეხილ წარბის მსგავსად რომ გვეტკინა“, პირველი სამარე 2001 წლის ივლისში გაიჭრა ვერაზე... **ზაზა დარასელს** დავემშვიდობეთ... სიკვდილი როგორ არ გვენახა, მაგრამ შუახანს მიღწეული თაობიდან მეგობრის წასვლა სხვა ყოფილა... და ამ „სხვაში“ ზაზა დარასელი კიდევ სხვა იყო...

დავით ყიფიანი ვიტალი დარასელიას შესახებ საუბრობდა; მის ძალასა და მნიშვნელობას გუნდისთვის განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობდით, როცა ის მოედანზე არ იყოო...

ასე ყოფილა: ზაზა დარასელის წასვლამ, უმისობამ მისი პიროვნება კიდევ უფრო კარგად დაგვანახა და... დაგვაახლოვა!..

იშვიათად შემხვედრია კაცი, რომელსაც შეეძლებოდა სხვისი ბედნიერებით მიღებული სიხარულის გამოხატვა ზაზასნაირად... 1978 წლის მაისი იყო. ზემელზე შეგვხვდა მე და ნინოს; ოჯახის შექმნა ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვქონდა. უზომოდ გაიხარა; ეს ისეთი ამბავი გავიგე, ამის აღუნიშნაობა არ იქნებაო; ჩაგვკიდა ხელი და იქვე კაფე „მეტროში“ აგვიყვანა; შამპანური გახსნა... მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა აღტაცებული და გახარებული... არადა, არ უყვარდა მრავალსიტყვაობა; ყველაფერში ზომიერი კაცი იყო. ახლა სიხარულმა აალაპარაკა... იმ ზაფხულს, 15 ივლისს, ჩემს სოფელში (კურსებში) მქონდა ქორწილი; სამეგრელოში, მუხურში (დედულეთში), იყო იმჟამად და შუაღამით კითხვა-კითხვით ამოვიდა იმერეთში – ამ ბედნიერებას როგორ დავიკლებდიო...

რომ დავფიქრებულვარ, რით იყო გამორჩეულიო, უპირველესად ღიმილი მახსენდება მისი, სიცილი... რაღაც მართალი, ალალი, გულიანი, ლამაზი... დაგინახავდა თუ არა, უპირველესად მისი „სავიზიტო“, „ფირმა“ ღიმილი შემოგვეგებოდა... გულს ხედავდი მისას, როცა იცინოდა... მერე დავაკვირდი: ნინოსთვის (შვილისთვის) „დაუტოვებია“ ეს ღიმილი: ასეა ნინოც, დანახვისთანავე ღიმილს შემოგაგებებს, ზაზასებურს...

ისიც მახსოვს, პირველად რით მიიქცია ჩემი ყურადღება: გალაკტიონის ლექსს კითხულობდა „ქარი ქრის“... ეს ლექსი ბევრისგან თქმული მომისმენია, მაგრამ არა მგონია ვცდებოდე – ზაზა აქაც გამორჩეული იყო; ახლაც მესმის „ქარის სისინი“ მისი დეკლამაციის დროს რომ ისმოდა...

1971 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და ჯარში გამიწვიეს. 1972 წლის იანვარში შვებულებით ჩამოვედი. თამაზ ხმალაძემ მახარა, ზაზა დაქორწინდაო; გავიხარე; როგორც მახსოვს, პირველი ოჯახი იყო სამეგობროში. ავიდეთ, გაუხარდებაო, თამაზმა... დარეკა, დაელაპარაკა; ახლავე ამოდითო... კერვალიშვილების ოჯახში იყო და იქ მიგვიპატიჟა. საოცრად ლამაზი საღამო იყო... კერვალიშვილებმა ღირსეულად გვიმასპინძლეს; პირველად ვნახე და გავიცანი რუსუდანი; მხოლოდ ასეთი წარმომედგინა ის, ვისაც ზაზა შეიყვარებდა, ან ვინც ზაზას შეიყვარებდა. სამხედრო (ლეიტენანტის) ფორმით ვიყავი; მთელი საღამო იხალისა ამაზე ზაზამ: გიყურებ და მაინც არა მჯერაო; ამ ფორმაში სხვა მგონიხარო...

გვიან გავიგე, რომ მოთხრობებსაც წერდა... არ გამკვირვებია, მთუმეტეს ვანიონ დარასელის შვილისაგან. ესეც ვთქვათ: მინახავს ცნობილი მამით თავმოწონებული შვილი; ზაზა აქაც სხვა იყო: რომ ეამაყებოდა და ბედნიერი იყო ვანიონის შვილობით, ფაქტია, თუმცა მისი გაგებით ზედმეტი თავმოწონება და ტრაბახი შეურაცხყოფა იქნებოდა მამის ხსოვნისა...

ცხოვრება სხვადასხვა გზაზე რომ დააყენებს მეგობრებს, თავიანთ საქმეებში ჩართულებს ზოგჯერ ავიწყდებათ ერთმანეთი... ზაზა საქტელერადიოკომიტეტში „დიდი კაცი“ იყო (ასე ვეტყოდიხოლმე); თამაზ ხმალაძისა და ჩემი რადიოდიალოგები მოუსმენია; შეხვედრია თამაზს, უთხოვია, გოგი შემახვედრეო. კარგა ხანს ვისაუბრეთ; მეორე არხზე ტელეგადაცემათა დაწყება შემოგვთავაზა ქართული ენის საკითხებზე... რამდენიმე გადაცემა გავაკეთეთ კიდეც: ზაზა, თამაზი და მე ვისხედით ეთერში; ზაზას მიჰყავდა...

უკანასკნელად ლაშა გახარიას შვილის, პაპუნას, პანაშვიდზე ვნახე... უკვე ძალიან მძიმედ იყო... არ დაინდო სენმა ეს უკეთილშობილესი კაცი... 20 ივნისს 51-ისა გახდა... 1 ივლისს წავიდა... აქაც იპირველა...

* * *

**ვთქვით: ზაზას გზას ავთოც გაჰყვა, მაგრამ ლაშამ მარტო არ გაუშვა... თუმცა კვლავაც ერთად ვართ და ერთად ვიქნებით... ასე ინება არსთაგანმრიგემ...**

რამდენჯერმე მომიწია ლაშას პოეზიის საღამოზე გამოსვლა... შარშან მუხურში ჩავედით ლაშაობაზე (უკვე მერამდენედ ლაშას გარეშე) თამაზ ხმალაძე, გოჩა ხუნდაძე და მე... მის სახლ-მუზეუმში სტუდენტობაც გავიხსენეთ და ლაშასდროინდელი სტუმრობები მუხურში...

ლაშა გახარია რომ განეშორა ამ ცოდვილ წუთისოფელს, მაშინ ვთქვი ერთი ცნობილი ლექსის პერიფრაზი – „წავიდა ლაშა... მოვიდა ლაშა...“

დიახ, წავიდა სიყრმის მეგობარი, ერთგულებისა და ვაჟკაცობის მაგალითი, ოჯახის ახლობელი ლაშა გახარია და მოვიდა პოეტი ლაშა გახარია...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ჩვენ 60-იანი წლებიდან ერთად მოვდიოდით (უფრო სწორი ქნებოდა-მეთქვა, მოვდივართ-მეთქი), ერთი გვქონდა ლხინი და ჭირი (მრავალად გვინახავს ერთიც და მეორეც), მრავალგზის (უთვალავჯერ) მითქვამს მისი სადღეგრძელო, მაგრამ პოეტი ლაშა გახარია არასოდეს მიდღეგრძელებია – ლაშა ჩემთვის ჯერ ლაშა იყო და მერე პოეტი. არადა გაცნობის დღიდანვე ვიყავი მოხიბლული მისი ლექსებით, ბევრიც ზეპირად ვიცოდი, მაგრამ მაინც ჯერ მეგობარი იყო... ალბათ ჩემთვის უფრო დიდი, ვიდრე პოეტი... (ეს შედარებაც პირობითია...) არადა ნაღდი პოეტია, თაობაში (და არა მარტო თაობაში) გამორჩეული...

ლაშა გახარიას აქვს ასეთი სტრიქონები: „პოეტი მაინც ერთი ლექსია...“

და ის ერთი ლექსი, რომელიც პოეტად აქცევს ლაშა გახარიას, მრავლადაა მის შემოქმედებაში. დიახ, ლაშა არის ავტორი მრავალი ისეთი ლექსისა, ერთიც რომ ეყოფოდა კაცს, რომ პოეტი რქმეოდა...

ასე არის ეს არა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან, არამედ ასე იყო იმთავითვე, როცა თბილისმა დაზმირ გახარია გაიცნო... ლაშა უფროსი მეგობრისა და თვალსაჩინო მწერლის,თამაზ ბიბილურის რჩევით დაირქვა. „ლაშა უფრო შეგფერის; უფრო გიხდებაო“...

მე არ მეგულება ჩემი თაობის (და არა მხოლოდ) კაცი, დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსული, რომელსაც ლაშას ლექსი „წერილი დედას“ წაეკითხა და თავისად არ მიეჩნია, საკუთარი დედის სახე არ დაენახა, საკუთარი დედის ხმა არ მოესმინა, როცა ჩაიკითხავდა:

**„მწერ, ჩამო შვილო, თოვლი დაკვალე,**
**დაგენაყოსო წამლად მშობელი“.**

არ მეგულება სოფლის ოჯახსმონატრებული სტუდენტი კაცი, ვისაც არ დაეყნოსოს დედისაგან მიღებული ბარათი – ასდიოდა თუ არა „ქინძისა და ომბალოს სუნი“... ვისაც ერთხელ მაინც არ ეთქვას გულში:

**„ჩამოვალ, დედი, და დარდს გადაგშლი,**
**ზურგში მიბერავს სულს მუზის ქარი**
**და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში**
**გამომიქვითე ყველა სიზმარი“...**

და ვამბობდით ამ ლექსს, როგორც ჩვენსას... ეს არ იყო მხოლოდ კარგი ლექსი, ეს ჩვენი სულის ძახილი იყო და... ვსვამდით დედის სადღეგრძელოს...

ლაშას მშობლიურ სოფელს, მუხურს, პირველად რომ ვესტუმრე, მაშინ ვთქვი: ღმერთი ამ გარემოში დაბადებისა და დავაჟკაცების ღირსად რომ გაგხდის, ეს უკვე დიდი წყალობაა... და როცა ამავე დროს ის დიდი პოეტური ნიჭი გებოძება, ეს უკვე ორმაგი წყალობაა ბუნებისაგან... ამ ნიჭის ამ გარემოში განვითარების შედეგი იყო ლაშას განუმეორებელი პოეტური სახე...

და როცა ლაშას მამას გავეცანი, ბატონ კაპიტონ გახარიას, მივხვდი, სად იყო სათავე ლაშას პოეტური გენიისა.. მე რომ შევხვდი კაპიტონ გახარიას, ფიზიკურად უკვე გატეხილი იყო. არცაა გასაკვირი: ოცდაათიან წლებში ციმბირის გზას გაუყენეს ახალგაზრდა კაცი... 10 წლით... მერე ისევ თავიდან დაწყებული ცხოვრება... ნაჯაფი, ნაციმბირალი საოცარ სულიერ სიმხნევეს ავლენდა... საწოლთან ჩამოვუსხედით მე და თამაზ ხმალაძე. „ფუტკრის არაყზე“ გვითამადა. შიგადაშიგ მეგრულ ლექსებს გვეტყოდა – თავისას თუ სხვისას... ბატონი კაპიტონის ლექსებს უფრო ლაშა გვიკითხავდა... ეს იყო ჭეშმარიტი ხალხური პოეზიის ზეიმი...

დიახ, აქ იყო სათავე ლაშას პოეტური სულისა..

* * *

**„მუზის პაუზა“ უწოდა თავის პირველ წიგნს. ეს წიგნი გვიან გამოვიდა.**

**მოდი, ვთქვათ ესეც: ავთო გაფრინდაშვილი ისე წავიდა, თავისი წიგნი არც უნახავს... მისი ერთადერთი წიგნის – „ისე მომენატრე, ისე...“ – გამოცემაზე მეგობრებმა იზრუნეს...**

არ მახსოვს, ან ლაშას და ან ავთოს თავისი წიგნის გამოუცემლობაზე რომ დაეჩივლა... თუმცა, ავთო, ეტყობა, ფიქრობდა ამაზე; მხატვრულად გაფორმებული რამდენიმე „წიგნის“ გარეკანი დაუხატავს („დედაჩიტები იძინებენ“, „მზიანი ბუდეები“)...






რომ არა ლაშას შემოქმედების ყველაზე დიდი გულშემატკივარი და პატრონი – როზა ბერიკაშვილი, ლაშას ცხოვრების ერთგული თანამგზავრი – თავის სიცოცხლეში ალბათ ლაშაც ვერ იხილავდა!... თუმცა უკვე მორალურად (მისი ერთადერთი ვაჟის – პაპუნას – ტრაგიკული ბედის გამო) და ფიზიკურად (მოურჩენელი სენის გამო) განადგურებული... მეგობრების ყურადღება არასოდეს მოჰკლებია... სწორედ მათ იზრუნეს, რომ მოსწრებოდა ლაშა თავისი წიგნის გამოსვლას... ასეც აწერია პირველ წიგნს: „გამოდის ავტორის უნივერსიტეტელი მეგობრების თანადგომით“... (ასეთივე წარწერა აქვს ავთოს წიგნსაც)... ისიც მახსოვს: საკორექტურო ფურცლები რომ მოჰქონდა სტამბიდან ლაშას წიგნის რედაქტორს, ლია ნაროუშვილს, რა დიდი „ბრძოლა“ სჭირდებოდათ როზას და ლიას, გაკორექტურებული ფურცლები რომ „წაერთმიათ“ ავტორისთვის... თუმცა ეს არ იყო კორექტურა; ეს იყო ახალი რედაქცია თითოეული ლექსისა...

წიგნის სასიგნალო ცალები რომ მოიტანეს სტამბიდან და ავტორს აჩვენეს, რაღაცები არ მოეწონა. უნდა ჩასწორდესო... როზას და ლიას საყვედურობდა, ამაჩქარეთო...

2004 წლის 4 იანვარი იყო... წიგნზე წამიწერა:

**„ჩემს გიორგის!**

**ეს ნაჩქარევი აკინძული კრებულია. რომელიც მალე მოგერთმევა ჩასწორებული სახით.**

**გოგი, ძმაო, აქ ერთ-ერთ ლექსში შენცა ხარ ნახსენები.**

**ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მთელი ჯალაბით და ღმერთმა გიმრავლოთ-გიბედნიეროთ მონაგარი.**

**იქართველე და იქართულ-რთველე დიდხანს.**

**შენი ლაშა გახარია.**
**4. I. 2004 წ.“**

ველარ შეძლო „ჩასწორებული“ სახით კრებულის გამოცემა...

**ვთქვით უკვე: 2004 წლის 15 თებერვალს „წავიდა ლაშა“... გაჰყა ავთოს... იქ ზაზა ელოდებოდათ... ზაზას მასპინძლობა არ შეეშლებოდა...**

**ნახვამდის, ძმებო!..**

**გიორგი გოგოლაშვილი**



გიორგი გოგოლაშვილი და თამაზ ხმალაძე.



ნაცების მსხვერპლი

# გია აბაშიძე: რონ შავაძის ორგანიზებული მკვლელობის შოკისმომგვრელი ფაქტი საბოლოოდ დაასამარებს „ნაციონალურ მოძრაობას“

**საააკაშვილის ჯალათების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, სერჟანტ რონ შავაძის ორგანიზებული მკვლელობა ის ერთ-ერთი შოკისმომგვრელი ფაქტია, რომელიც ადრე თუ გვიან საბოლოოდ დაასამარებს „ნაციონალურ მოძრაობას“,** – წერს ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** სოციალურ ქსელში.

აბაშიძის თქმით, ნაცჯალათებზე კიდევ უფრო უარესნი ის უსამშობლო არსებები არიან, რომლებიც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გამართლებას ცდილობენ და მცოდნეებად და პროგრესულ მედასავლეთეებად მოაქვთ თავი.

**„უდანაშაულო ადამიანების სისხლში ყელამდე გასვრილი „ნაცმოძრაობა“ კვლავ უტიფრად და ამაოდ ცდილობს ხელისუფლებაში რამენაირად მობრუნებას.**

**სააკაშვილის ჯალათების მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, სერჟანტ რონ შავაძის ორგანიზებული მკვლელობა ის ერთ-ერთი შოკისმომგვრელი ფაქტია, რომელიც ადრე თუ გვიან საბოლოოდ დაასამარებს „ნაციონალურ მოძრაობას“. ნაცჯალათებზე კიდევ უფრო უარესნი არიან ის უსამშობლო არსებები, რომლებიც ცდილობენ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის უგვანოდ გამართლებას და თავი მოაქვთ მცოდნეებად, პროგრესულ მედასავლეთეებად. ასეთნი არაქართველნი კი არა, არაკაცები, არაადამიანები არიან!**

* * *

გენერალურმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის სერჟანტის, **რონ შავაძის** უკანონო დაკავების და განზრახ მკვლელობის ბრალდებით კიდევ ორი პირი დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ **2008 წლის 15 აგვისტოს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდი) აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბათუმში მცხოვრები რონ შავაძის ოპერატიულად შესწავლის დავალება მიიღო, რადგან თითქოს არსებობდა ინფორმაცია, რომ იგი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან „თანამშრომლობდა“.**

**2008 წლის 16 აგვისტოს, აჭარის კუდის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა მათი ხელმძღვანელობის მონაწილეობით, ბათუმის ერთ-ერთ კაფეში მყოფ რონ შავაძეს თავს დაესხნენ და ავტომატის კონდახების გამოყენებით სასტიკად გაუსწორდნენ. შავაძემ ძალადობის შედეგად სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო.**

**ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ, სპეცრაზმელებმა, ასევე მათი ხელმძღვანელების მონაწილეობით, რონ შავაძე ქობულეთი-ქაქუთის საავტომობილო გზის მიმართულებით წაიყვანეს. აჭარისა და გურიის საზღვართან აღნიშნულმა პირებმა გააჩერეს ავტომანქანები და უმწეო მდგომარეობაში მყოფი რონ შავაძე ავტომობილიდან გადაიყვანეს, დააყენეს სავალი გზის გადასწვრივ და დახვრიტეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილს სხეულზე დაახლოებით 40 ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა.**

**ჩატარებული გამოძიებით, უტყუარად გაბათილდა ყალბი ვერსია, თითქოს რონ შავაძის ლიკვიდაცია მისი გაქცევის აღსაკვეთად განხორციელდა. ამასთანავე, დადგინდა, რომ რონ შავაძის სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან შესაძლო თანამშრომლობაზე არც იმჟამად და არც შემდგომ პერიოდში გამოძიებაც კი არ დაწყებულა და რონ შავაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ ნარკოდანაშაულისთვის 260-ე მუხლით დაიწყეს. აღნიშნული ეჭვი არც მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადასტურდა.**



# გალში მოკლული თემურ კარბაიას საქმეზე ორი „მილიციელი“ დააკავეს

**დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში, გალის რაიონში, საქართველოს მოქალაქის, თემურ (ვიტალი) კარბაიას მკვლელობის საქმეზე 2 „მილიციელი“ დააკავეს. ოკუპირებულ რეგიონში სისხლის სამართლის დევნა ჯამში 3 პირის მიმართ იყო დაწყებული.**

დე ფაქტო პროკურატურის განცხადებით, კაპიტან ალბერტ ზარაკუას, ლეიტენანტ ვიანორ აბშილავას და უმცროს ლეიტენანტ დავით კვეკვესკირს ბრალად ედებათ ჯგუფის მიერ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალადობა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა.

ე.წ. პროკურატურის მტკიცებით, 2023 წლის 6 დეკემბერს დავით კვეკვესკირმა ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი თემურ კარბაია იძულებით მიიყვანა გალის ე.წ. მილიციის განყოფილებაში, სადაც სამორიგეო განყოფილებაში, მოწმეების არყოფნის პირობებში, უკანონოდ გაჩხრიკა.

**„შემოწმების ბოლოს კარბაიამ კვეკვესკირის მიმართ უცენზურო სიტყვები გამოიყენა, რის შემდეგაც კვეკვესკირმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ დროს სამორიგეო განყოფილებაში შევიდნენ ზარაკუა და აბშილავა, რომლებიც კვეკვესკირთან ერთად, კარბაიას ფიზიკურად გაუსწორდნენ. ის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მუშტებითა და ფეხებით სცემეს, რის შედეგადაც კარბაიას სხეულის დაზიანებები მიაყენეს. მან გულმკერდის არეში მიიღო ტრავმა, ოთხი ნეკნის მოტეხილობა, დაკავებულს ჰქონდა მარჯვენა თვალის ზედა და ქვედა ქუთუთოების სისხლჩაქცევები“,** – ნათქვამია განცხადებაში.

**როგორც „პროკურატურა“ აცხადებს, კარბაია შემდეგ გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ის გათავისუფლებამდე, 2023 წლის 7 დეკემბრამდე იმყოფებოდა. აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადრე აცხადებდა, რომ ის „პრევენციული საუბრის შემდეგ“ გაათავისუფლეს.**

**„კარბაია 9 დეკემბერს სოხუმის საავადმყოფოში გარდაიცვალა, სადაც ერთი დღით ადრე ის გალის საავადმყოფოდან გადაიყვანეს. ის „ჯანმრთელობის გაუარესების გამო“ მკურნალობდა“...**

შეგახსენებთ, რომ 9 დეკემბერს ოკუპირებულ გალში საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. მილიციის თანამშრომლებმა ჩხრეკის მიზნით გააჩერეს და სასტიკად სცემეს საქართველოს მოქალაქეს, თემურ (ვიტალი) კარბაიას. მოგვიანებით ის ე.წ. მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც, სავარაუდოდ, ფიზიკური ანგარიშსწორება გაგრძელდა. მიყენებული დაზიანებების გამო, კარბაია საავადმყოფოში მიყვანისთანავე დაიღუპა.

# ჟოზეფ ბორელი ისრაელს აკრიტიკებს



**საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზეფ ბორელი აშშ-ს ისრაელისთვის სამხედრო დახმარების შეწყვეტას სთავაზობს.**

ამასთან, ბორელმა აღნიშნა, რომ ნიდერლანდების სასამართლომ ნიდერლანდების მთავრობას დაავალა F-35-ის ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების ნაწილების ექსპორტის დაბლოკვა ისრაელისთვის იმის გამო, რომ ისრაელი ამ თვითმფრინავებით ღაზის სექტორში საერთაშორისო სამართალს არღვევს. ბორელის თქმით, ქვეყნები საკუთარ ნათქვამთან წინააღმდეგობაში მოდიან, რადგან აცხადებენ, რომ ისრაელი ძალიან ბევრ მშვიდობიან მოსახლეობას კლავს ღაზაში, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად კონკრეტულად არაფერს აკეთებენ. ასევე, ბრიუსელში სიტყვით გამოსვლისას, ბორელმა გააკრიტიკა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და თქვა, რომ ის არ ითვალისწინებდა თხოვნას, გაეკეთებინა მეტი მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.

**„ყველა მიდის თელ-ავივში და ევედრება, „გთხოვთ, ნუ გააკეთებთ ამას, დაიცავით მშვიდობიანი მოქალაქეები, ნუ მოკლავთ ამდენს“. რამდენია ძალიან ბევრი? რა არის სტანდარტი? ნეთანიაჰუ არავის უსმენს. მან მოუწოდა პალესტინელ მშვიდობიან მოსახლეობას რაფაჰიდან ევაკუაციისკენ, მაგრამ როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს? სად უნდა წავიდნენ ისინი? მთვარეზე? სად აპირებენ ამ ხალხის ევაკუაციას?“** – განაცხადა ბორელმა.

# ბრძოლის ველზე უპირატესობა ახლა რუსების მხარესაა...

**რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს დონბასის დაკავება ნებისმიერ ფასად სურს,** – ამის შესახებ გერმანული გამოცემა Bild-ი აქვეყნებს მასალას.

როგორც Bild-ი იუწყება, ბრძოლის ველზე უპირატესობა ახლა რუსების მხარეზეა, მიუხედავად იმისა, რომ თავად რუსული ჯარი ახლა გამოფიტულია, ისინი მაინც ახერხებენ პოზიციების დაბრუნებას.

**„მსხვერპლი უზარმაზარია, დღეში ზოგჯერ ათასამდეც კი, მაგრამ ვლადიმერ პუტინს მაინც არ აღელვებს საკუთარი ჯარისკაცების ბედი. მას დონბასის დაკავება ნებისმიერ ფასად სურს“,** – ნათქვამია სტატიაში. გამოცემა ასევე წერს, რომ უკრაინაში ზამთრის პერიოდში გაურკვევლობა, იმედგაცრუება მაღალია და საკითხავია, ესმით თუ არა მთლიანი დრამა ვაშინგტონში, ბერლინსა და პარიზში.

# პუტინი სომხეთში ჩასვლას აპირებს, მაგრამ...



**რუსეთის პრეზიდენტის სომხეთში შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებით მოსკოვი ელოდება სომხეთთან შეთანხმებას გარანტიებთან დაკავშირებით, რომ რუსეთის პრეზიდენტს ჰააგის ორდერის საფუძველზე არ დააკავებენ,** – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, **დიმიტრი პესკოვმა** განაცხადა.

**„ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ახალმა რეალობამ, რომელიც დაკავშირებულია სომხეთის ამ საერთაშორისო წესდებასთან შეერთებით, არ შეიძლება, არ იქონიოს ნეგატიური გავლენა ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებზე. რა თქმა უნდა, აქ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სომეხი პარტნიორებისგან გარკვეული გარანტიების მიღება. ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ორმხრივი დიალოგის ფარგლებში და კრემლი ამაზეა ფოკუსირებული“,** – განუცხადა პესკოვმა ჟურნალისტებს. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, ნიკოლ ფაშინიანმა კითხვაზე, დააკავებენ თუ არა პუტინს სომხეთში ჩასვლის შემთხვევაში, უპასუხა: „ვინმეს დაკავებაზე გადაწყვეტილებას ვიღებ არა მე, არამედ სომხეთის იურიდიული ინსტიტუტები“.

# დეზინფორმაცია საფრანგეთის წინააღმდეგ

**საფრანგეთის სამთავრობო სააგენტო VIGINUM-მა, რომელიც მუშაობს საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს დაქვემდებარებაში, უცხოური ციფრული ჩარევისგან დასაცავად, განაცხადა, რომ აღმოაჩინა რუსული ვებსაიტების ქსელი, რომელიც შექმნილია დასავლეთში კრემლის პროპაგანდის გასავრცელებლად.**

2023 წლის 23 ივნისიდან 19 სექტემბრის ჩათვლით ამ საიტებზე გამოქვეყნდა 150 ათასზე მეტი მასალა და პოსტი, ძირითადად რუსული და პრორუსული მედიის შინაარსის „რეპოსტი“. საინფორმაციო სააგენტო AFP-თან საფრანგეთის დიპლომატიური წყარო ამბობს, რომ ქსელის მთავარი მიზანი იყო რუსეთის ომის გამართლება უკრაინაში. წყარომ ასევე აღნიშნა, რომ პუბლიკაციების შინაარსში იყო „ძლიერი იდეოლოგიური მიკერძოება“ და „აშკარად ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ისტორიები“. VIGINUM-ის წარმომადგენლების თქმით, ზოგიერთმა შინაარსმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს საფრანგეთის ფუნდამენტურ ინტერესებს.

# სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ერთმანეთს კვლავ ცეცხლი გაუხსნეს

**სომხეთი აზერბაიჯანს მისი პოზიციების მიმართულებით ცეცხლის გახსნაში ადანაშაულებს. როგორც სომხური მხარე იუწყება, აზერბაიჯანის მიერ გამთენიისას, 05:30 საათისთვის გახსნილ ცეცხლს საზღვართან მდებარე ნერქინ ჰანდის დასახლებაში ორი ადამიანი ემსხვერპლა და რამდენიმე დაშავდა.**

აზერბაიჯანული მხარის ცნობით, სომხური მხარის პროვოკაციული ქმედების საპასუხოდ, ჩატარდა ოპერაცია – „შურისძიება“, რომლის ფარგლებშიც, განადგურდა სომხეთის საბრძოლო პოსტი სოფელ ნერქინ ჰანდის რაიონში, საიდანაც, მათი ცნობით, რამდენიმე საათით ადრე, 20:50 საათიდან 23:40 საათის პერიოდში, აზერბაიჯანული პოზიციების მიმართულებით, კერძოდ, კოხანაბისკენ ცეცხლი გახსნეს. აზერბაიჯანის ცნობით, საპასუხო დარტყმისას სომხურმა მხარემ დანაკარგები განიცადა. სომხეთის თავდაცვის სამინისტრო ცეცხლის გახსნის თაობაზე აზერბაიჯანული მხარის ბრალდებას უარყოფს.



# ხაჩიძეები



წაქვის კვირაცხოვლობის სახელობის აღდგენილი ტაძრის კურთხევაზე. 2016 წ.

## გვარი თვალისჩინივით უფრთხილდება წინაპართა ხსოვნას

**საქართველოში მცხოვრები დღევანდელი გვარების უმრავლესობა, ცნობილი დემოგრაფების ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის კვლევების თანახმად, დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან მომდინარეობს. ისტორიის დოქტორის, როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევით კი ქართული გვარები დოკუმენტურად VIII საუკუნიდან დასტურდება. მისივე ცნობით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს მანამდე გვარები არ ჰქონდათ.**

**როდის და სად წარმოიშვა გვარი „ხაჩიძე", როგორი იყო მისი განსახლების არეალი; როდიდან, რატომ და რა მიმართულებით მოხდა თანამოგვარეთა ადგილმონაცვლეობა – ამ საკითხების კვლევისთვის ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და რამდენიმე მეცნიერის ნაშრომს საკუთარი კვლევაც დაურთო.**

**ხაჩიძეთა წარმომავლობა მეცნიერთაგან პირველად აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დაუფიქსირებია.** „ბორჯომის ხეობის დღიურში", რომელიც 1947 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „ვიდრე ძეგლს (იგულისხმება კიმოთი ეკლესია) ვათვალიერებდით, ჩვენთან ვინმე ხაჩიძე მოვიდა, დაბელი კოლმეურნე. მათი გვარის (ხაჩიძეთა) სადაურობა ვკითხე. „პაპაჩემისაგან გამიგონია, რომ ხატის მოსალოცავად ის ნარას (ე.ი. დვალეთს, **ნ.ბ.**) დადიოდა; ჩვენი წინაპარი ძველ დროსვე მოსულა ქართლში, წაქვსა და ბიჯნისს სახლებულან სურამის თავზე, შემდეგ ზოგი ხეობაში წამოსულა, ზოგი აქვე დარჩენილა. აქ, დაბაში, ყველა მოსულია ქართლიდან (თედიაშვილი, მესხიძე, ლომიძე) და ვინ იცის საიდან".

როლანდ თოფჩიშვილისა და სხვა მეცნიერთა კვლევების თანახმადაც, გვარი ხაჩიძე წარმოშობით დვალეთიდან, ნარას ხეობიდანაა, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა. ერთიან ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) დვალეთი ქართლის სამეფოში შედიოდა. მას სამეფო კარის მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ. მაგალითად, XVII საუკუნეში დვალეთი შედიოდა გიორგი სააკაძის სამოურავოში, თბილისსა და ცხინვალთან ერთად.



სქიმმონაზონი ნინო ხაჩიძე-დაშნიანი (1935-2008)

1859 წელს მეფის რუსეთმა დვალეთი თბილისის გუბერნიას ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. ამჟამად დვალეთი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზეა.

ბატონ როლანდის კვლევით, კავკასიის მთების აქეთ გვარი ხაჩიძე (ადრინდელი ფორმით „ხაჩიური") დვალების რამდენიმე ათეულ გვართან ერთად XVI საუკუნიდან შემოსულა. მაგრამ ყველას არ აქვს ხსოვნა თავიანთი ყოფილი საცხოვრისის შესახებ, გარდა იმ გვარებისა, რომელთა ფუძეში იკითხება სიტყვა „დვალი", აგრეთვე კასრაძეთა და ხაჩიძეებისა.

– ქართულ წყაროებზე თვალის გადევნებით ირკვევა, როგორ მოხდა თანდათან ტერმინ „დვალეთის" „ოსეთით" ჩანაცვლება. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ეს ორი ტერმინი ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება... XVI საუკუნეში ქართველი მთიელი დვალები თანდათან ეთნიკურმა ოსებმა შეცვალეს, რომლებიც აქ ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ. XVII საუკუნის ბოლოს დვალეთში, ფაქტობრივად, დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის), დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალების ასიმილაცია განაპირობა იმან, რომ ისინი მიგრირებულ ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ, რადგან ოსთა ხშირი თარეშის, მეკობრეობის შედეგად, დვალები საქართველოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა დვალეთის ზოგიერთ ხეობაში ეთნიკური ტრანსფორმაციის პროცესი დიდხანს გაგრძელებულა.." – წერს რ. თოფჩიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი თავის წიგნში დადასტურებული აქვს ოს ეთნოლოგს, ბორის კალოევს, რომელიც ზახას ხეობიდან იყო, სადაც ადგილობრივები ორივე ენაზე საუბრობდნენ, ოსურზე და ქართულზე.

იგივე დასტურდება საგვარეულო კავშირის კვლევითაც. ნარას ხეობაში XX საუკუნის 60-იან წლებში ორენოვნება ჯერ კიდევ არსებობდა, ადგილობრივები ქართულად და ოსურად მეტყველებდნენ.

ხარაგაულის რაიონის სოფ. წაქვაში მცხოვრებ ხაჩიძეებს გასული საუკუნის 70-ინ წლებამდე ჯერ კიდევ ჰქონდათ დვალეთთან მიმოსვლა. ისინი სოფელ ნარში, საიდანაც წაქვაში გადმოსახლდნენ, ჩადიოდნენ წმინდა გიორგის ტაძრის მოსალოცად. იქ მათ ყოფილი ხაჩიძეების ოჯახი მასპინძლობდა, თუმცა უკვე გაოსებულები, გვარად ხასიევები. ხსოვნა თავიანთი წინაპრების შესახებ ხასიევებს შენარჩუნებული ჰქონდათ. 70-ან წლებში წაქველთა მორიგი სტუმრობისას, ხასიევების ოჯახის თავკაცი უკვე 90 წელს მიტანებული ყოფილა. ვიდრე ღრმად მოხუცდებოდა, იგი წაქველებს პერიოდულად სტუმრობდა-ხოლმე და ეს მთელმა სანათესაომ იცოდა. იმჟამად მოხუცს სახლში ჰყავდა შვილი, სახელად ასლანბეგი და ობოლი ძმისშვილი, ზახარი, რომელიც ორჯონიკიძის რაიკომში მუშაობდა რაღაც თანამდებობაზე. ზახარს ფოსტიდან დაურეკეს და ისიც გვიან ღამითვე ჩასულა ნარში სტუმრების მოსანახულებლად. მთელი ღამე გაუთენებიათ თავიანთ წარსულზე საუბარში...

ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ნარიდან წაქვაში ჩამოსახლებულ ხაჩიურებს წმინდა გიორგის სალოცავიდან ქვა ჩამოუტანიათ. გასული საუკუნის 50-იან წლებში წაქველ ხაჩიძეებს იმავე სალოცავიდან ქვა მეორედ ჩამოუტანიათ, სოფელში დაუფლავთ, ზედ ჯვარი და ფიცრული ნაგებობაც დაუდგამთ. მოგვიანებით კი მის გვერდით აგურის სალოცავიც აუშენებიათ. ორივე სალოცავს წაქვაში მცხოვრებნი, სოფლის მკვიდრი სხვა გვარების ჩათვლით, ნარის წმინდა გიორგის სახელით მოიხსენიებენ. სამეცნიერო წრისთვის ამ არტეფაქტების შესახებ ცნობილი არ იყო; ამაზე ინფორმაცია მას საგვარეულო კავშირმა მიაწოდა.

2016 წლის 8 მაისს წაქვაში კომუნისტების მიერ დანგრეული ტაძარი აღდგა. მის აღდგენაზე მთელი სოფელი ზრუნავდა. ძირითადი დამფინანსებელი ამავე სოფლის მკვიდრი,ბეჟიით ხაჩიძე, ჯიმშერ ტყემალაძე გახლდათ, იდეის სულისჩამდგმელი და თანადამფინანსებელი – ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირი.

აღნიშნული ტაძრის აღდგენის სურვილი სოფელში საგვარეულო წმინდა გიორგის ხატის ჩაბრძანების შემდეგ გაჩნდა, რომელიც ხაჩიძეთა გარდა, სოფლის მცხოვრებმა ყველა სხვა გვარებმაც ისტუმრეს.

წაქველთა გარდა, საგვარეულო ხატს თითქმის მთელი საქართველოს ყველა კუთხეში განფენილმა თანამოგვარეთა ოჯახებმა უმასპინძლეს...

ხატისკაცობის ძირითადი მტვირთველები არიან: ბორჯომის რეგიონში **გია და ანასტასია ხაჩიძეები,** ახალციხის მასშტაბით – საყუნეთში მცხოვრები გელა ხაჩიძე, ხაშურის რეგიონში – გენო, ვასილ და მზია ხაჩიძეები, თბილისსა და რუსთავში – დალი ხაჩიძე, ლაგოდეხში – დათო და ლია ხაჩიძეები.

თანამოგვარენი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ისეთ შეკრებებში, როგორიცაა: მეტეხის ხიდზე 100 000 მოწამისადმი პატივის მიგება, ოჯახის სიწმიდისადმი მიძღვნილი მსვლელობა, კრწანისის გმირთა ხსოვნის დღე და სხვა.

2021 წელს გამოიცა საკმაოდ ტევადი საგვარეულო წიგნი სათაურით „ხაჩიძეები". გვარის ისტორიის გარდა, მასში თავმოყრილია თავიანთი საქმიანობით სხვადასხვა ასპარეზზე გამორჩეულ თანამოგვარეთა ბიოგრაფიები (მათ შორის მეომართა და წარმატებული ახალგაზრდების), სახლიკაცთა შემოქმედებისა და სპორტული მიღწევების, მოსწავლეთა წარმატების ამსახველი მასალა და სხვა...

წიგნის შედგენაში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, ხარაგაულის რაიონის ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებლის ზაირა ხაჩიძის წვლილი. მისმა მოწოდებულმა ისტორიულმა დოკუმენტმა მეფე გიორგი III-ის მიერ წაქველებისადმი გაცემული შეუვალობისა და გადასახადებისაგან გათავისუფლების სიგელმა (შემდგომში მეფე დავით ნარინის განახლებულმა), განამტკიცა თუში თანამოგვარის მონათხრობი ბახტრიონის ბრძოლაში ორი წაქველი ძმის მონაწილეობაზე. ამ ისტორიიდან ირკვევა თუშეთში ხაჩიძეთა დამკვიდრების ისტორია.

ხსენებული სიგელი ეხება წაქველთა და მთლიანად ხეფინიხეველთა დამსახურებას სამშობლოს წინაშე. სოფ. წაქვას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა უკავია და მის მკვიდრთ გარეშე მტრისთვის არაერთხელ გაუწევიათ სერიოზული წინააღმდეგობა, რის შედეგად ბრძოლის სასწორი საქართველოს სასარგებლოდ გადაუწონიათ კიდეც.

**ამჟამად მეორე საგვარეულო წიგნი იწერება, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა გარდა, უტყუარი ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი დვალეთის, როგორც ყოფილი ქართული მიწა-წყლის შესახებ. გამოკვლევის ავტორი გახლავთ ქალბატონი თამარ ასანიშვილი.**

**1859 წელს მეფის რუსეთმა დვალეთი თბილისის გუბერნიას ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. ამჟამად დვალეთი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზეა.**



სოფ. წაქვა, წმინდა გიორგის სალოცავთან, 2011 წ.



**დალი ხაჩიძე,**

**ხაჩიძეთა საგვარეულო კავშირის წინამძღოლი, ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე**

ტიტანი




# უკვე – ორგზის!

**ევროპის ძალოსნობის ფედერაციისა და სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებმა ლაშა ტალახაძე 2023 წლის საუკეთესო ძალოსნად დაასახელეს.**

დაჯილდოების საზეიმო ცერემონია ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა, სადაც ხვალიდან ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. ტალახაძე ევროპის საუკეთესო ძალოსნად 2021 წელსაც დასახელდა. შეგახსენებთ, რომ იგი მსოფლიოსა და ევროპის 7-7 გზის ჩემპიონია, ხოლო წლეულს ზაფხულში პარიზში მესამე ოლიმპიურ ტიტულს შეუტევს.

თაოგა

# ოქრო-ვერცხლით დახუნძლულნი

**უკვე გაუწყეთ, რომ 50-მდე ქვეყნის 1200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისი არენაზე გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სპორტულ კარატეში კადეტთა, იუნიორთა და 21-წლამდელთა შორის.**

მასშტაბური ფორუმის ფინიშზე გაგვახარეს მასპინძლებმა, რომლებმაც სამშობლოში 2 ოქრო და 1 ვერცხლი დაიტოვეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაბიჯეს **გიგი ალანიამ** (52 კგ, კადეტებში) და **უტა ფონიავამ** (68 კგ, იუნიორებში, ზედიზედ მეორედ!), ხოლო ასევე მოქმედი და უკვე კონტინენტის ექს-ჩემპიონი თანატოლებში **იკა სულამანიძე** ამჯერად ფინალისტობას დასჯერდა.



ოვალური ბურთი

# ალიარება გრძელდება

**ამ დღეებში დაზუსტდა, რომ საზაფხულო ტესტებზე რიჩარდ კოკერილის გაწვრთნილი ბორჯღალოსნები სენდაიში იაპონელ საკურებსა (13 ივლისს) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს – ავსტრალიელ ვოლაბებს (სიდნეის ალიანს სთედიუმზე 20 ივლისს) შეხვდებიან.**

შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელებს აქამდე ორჯერ ვეთამაშეთ პლანეტის თასზე და ორივეჯერ დავმარცხდით, ასე რომ, მათგან მიწვევა ქართული რაგბის დიდ აღიარებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**იოსებ ტყემალაძე – სრკ-ის პრეზიდენტი: „დიდ მადლობას ვუხდი ძვირფას კოლეგას მწვანე კონტინენტიდან, ბატონ ჯო როფს მიწვევისთვის და საპასუხოდ მომავალში ვოლაბებს საქართველოში სათამაშოდ ვეპატიჟები.**

**გლობალური ექსპანსია ეს ის თემაა, რომელზეც მთელ სარაგბო სამყაროში საუბრობენ და სწრაფი განვითარებისთვის ჩვენ უფრო მეტი აღნიშნული დონის ტესტი გვჭირდება“.**

დავძენთ, რომ ბორჯღალოსანთა ლიდერი **დავით ნინიაშვილი** (ლიონი) ჩემპიონთა ლიგაში დადებული ლელოსთვის კიდევ ერთხელ გამოარჩიეს და 5 საუკეთესოში დაასახელეს. სასიამოვნოა, რომ მან ღირსეულად დაასრულა პოსტტრავმული პერიოდი და წარმატებით განაგრძობს ფრანგულ საკლუბო კარიერას.

ბრძენთა თამაში



# ბაადურის მეოთხე!

**8 დიდოსტატი და ფიდეს 2 ოსტატი მონაწილეობდა ვაჟ მოჭადრაკეთა 88-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში (საპრიზო ფონდი – 30 000 ლარი), რომლის მედალოსნებმაც ევროპის წლევანდელი პირადი ჩემპიონატის საგზურებიც დაიმსახურეს.**

შვეიცარიული სისტემით – 9 ტურად გამართული ტურნირის გამარჯვებული მეოთხედ(!) გახდა საქართველოს ნაკრების ლიდერი, მრავალი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი **ბაადურ ჯობავა** – 7 ქულა, რომელმაც ქულანახევრით გაუსწრო ნიკოლოზ კაჭარავასა და ასევე ოთხგზის გვირგვინოსანს მიხეილ მჭედლიშვილს.

20 წლის შემდეგ

# უილიამსის ნაკვალევზე

**2004 წელს საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებში პირველმა ნატურალიზებულმა ამერიკელმა ლეგიონერმა შემონდ უილიამსმა ითამაშა, რომელიც სპეციალისტთა უმეტესობის აზრით ოსტატობით ყველა მომავალ თანამემამულეს აღემატებოდა, უკანასკნელი ოკეანისგაღმელი კი, ვინც ჯვაროსანთა სპორტულ ღირსებას იცავდა, თად მაკფადენი გახლდათ, ვინც ჩვენთვის სადებიუტო მუნდიალზე ითამაშა და გუნდიდან ბერძენ თავკაც ილიას ზუროსთან ერთად წავიდა.**

და აი, ტრადიცია გრძელდება – ახალ სერბ მთავარ მწვრთნელს ალექსანდრ ჯიკიჩს ევროლიგის მონაწილე თელ-ავივის მაკაბის უკანახაზელი **ჯო ტომასონი** მოჰყვა, რომელიც ომის ქარცეცხლში გახვეულ ისრაელში გადაბარგებამდე ესპანურ გრანადაში ასპარეზობდა და საშუალოდ თითოეულ მატჩში 14 ქულას, 3 მოხსნასა და 3 პასს აგროვებდა. მის კარიერას აგრეთვე ამშვენებს რუმინულ დინამოში, პოლონურ გდანსკში, ლუბლინსა და ზელიონა გორაში, ებრაულ გალილ გილბოაში, პირენეულ მანრესაში, რუსულ პეტერბურგსა და ელადურ პრომითეასში გატარებული წლები, ასე რომ, გამოცდილების დეფიციტს ნამდვილად არ უჩივის.

დავძენთ, რომ უბერებელი გამთამაშებლის – გიორგი ცინცაძის შემცვლელს, რომელსაც კალათბურთიდან სერბეთთან ევრობასკეტის შესარჩევი რაუნდის შეხვედრაში 26 თებერვალს გავაცილებთ, დებიუტი 3 დღით ადრე დანიაში ექნება.

ფეხბურთი

# ვადიდებთ მასპინძლებს

**აზიასა და აფრიკაში ერთდროულად გაიმართა კონტინენტური ჩემპიონატები და ორივე ფორუმი მასპინძლებმა მოიგეს, ოღონდ განსხვავებული სცენარით.**

**აზია.** ყატარში ადგილობრივმა ნაკრებმა შარშან მოპოვებული ტიტული ღირსეულად შეინარჩუნა, თუმცა საამისოდ ფინალში იორდანიასთან ერთბაშად 3 პენალტის გატანა დაჭირდა, რომლებიც უნაკლოდ შეასრულა ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ და ბომბარდირმა აკიკმა. აღსანიშნავია, რომ არნახული წარმატებით ითამაშა მეოთხედფინალამდე აღზევებულმა ტაჯიკეთმა, რომელსაც პეტარ სეგრტი, გელა შეყილაძე და თამაზ ბოკერია ავარჯიშებენ.

**აფრიკა.** ასეთ დასასრულს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე მას შემდეგ, რაც კოტ დივუარმა ორი სასტარტო მატჩის წაგების შემდეგ მთავარი მწვრთნელი შეცვალა და პლეი-ოფში სხვათა დახმარებით გააღწია. თურმე, თავდავიწყება აწი იწყებოდა, მასპინძელთა ტრიუმფალური გარდასახვა კი გადამწყვეტ შეხვედრაში ნიგერიასთან ტაიმბოლიით დაგვირგვინდა – 2:1 (პირველი ნახევარი – 0:1).

სხვათა შორის, იმავე დღეს მარცხი ნიგერიელთა ლიდერის – ოსიმენის იტალიურმა კლუბმა ნაპოლიმაც იწვნია სერია – ა-ში სტუმრად მილანთან – 0:1 და კიდევ უფრო დაშორდა ჩემპიონთა ლიგის ზონას – მე-9 ადგილი, თანაც ეს ხვიჩა კვარაცხელიას 23-ე დაბადების დღეზე მოხდა.



ბედისწერა

# რეკორდი დაობლდა

**კენიელი მორბენალი კელვინ კიპტუმი, რომელმაც 2023 წელს მარათონში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა,** – ამის შესახებ Deutche wele წერს.




გამოცემის ინფორმაციით, შემთხვევა კენიის დასავლეთით 11 თებერვალს მოხდა. კიპტუმი საჭესთან იჯდა. სპორტსმენთან ერთად დაიღუპა მისი მწვრთნელი გერვაის ჰაკიზიმანა. კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც მანქანაში იმყოფებოდა, ჰოსპიტალიზებულია.

კიპტუმს მონაწილეობა უნდა მიეღო მარათონში როტერდამში, რომელიც აპრილში უნდა გაიმართოს. ამასთან, ის კენიის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაშიც იყო, რომელსაც პარიზის თამაშებზე უნდა ეასპარეზა.

## კომპანიის ხელმძღვანელი ბიუჯეტს ყვლეფდა!

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.** უწყება ამბობს, რომ მან თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯამში 3 223 841 ლარის გადახდას.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს, სხვადასხვა პირზე რეგისტრირებული ჰქონდა კომპანიები, რომლის ფაქტობრივი ხელმძღვანელიც თავად იყო. უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებული ხსენებული კომპანიების სახელით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, 2021-2022 წლების პერიოდში, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდა შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რა გზითაც, მან თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯამში 3 223 841 ლარის გადახდას“**, – წერია განცხადებაში. დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

## ყოფილ საყვარელს ინტიმური ვიდეოს გასაჯაროებით ემუქრებოდა...

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე დაკავებულია 1978 წელს დაბადებული პირი.**

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს 2023 წელს, გათხოვილ ქალთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა, რომელსაც სასტუმროში სქესობრივი კავშირის დროს მობილური ტელეფონით ფარულად ვიდეო გადაუღო. ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, 2024 წლის იანვარში, ბრალდებული დაზარალებულ ქალს ურთიერთობის აღდგენას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფარულად გადაღებული მათი სქესობრივი კავშირის ამსახველი კადრების ნათესავებში გავრცელებით ემუქრებოდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა დაზარალებულ ქალს ღამით საცხოვრებულ სახლში მიაკითხა და ბავშვების და ოჯახის სხვა წევრების სახლში ყოფნის დროს შესვლას ცდილობდა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დასავლეთ საქართველოს სამმართველომ, დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა, რის შემდეგაც ბრალდებული დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას, მობილურ ტელეფონში ნანახი იქნა ინტიმური შინაარსის ამსახველი ვიდეომასალა.



## ტრანსნაციონალური თაღლითი თბილისში დაიჭირეს

**ტრანსნაციონალური თაღლითობისთვის „ინტერპოლის“ მიერ ძებნილის მეზობლები „კურიერს“ უდასტურებენ, რომ 28 წლის ქალი ამ სახლში, ქავთარაძის ქუჩაზე საცხოვრებელ კორპუსში ქირით ცხოვრობდა.**

მან ბინა დაახლოებით ერთი წლის წინ იქირავა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ახალგაზრდა ქალი არავისთან კონტაქტობდა და, ძირითადად, ღამის საათებში გადაადგილდებოდა. მეზობლებმა ისიც თქვეს, რომ, ყოველ დილით, ქალს სახლთან უცნობი მამაკაცი აკითხავდა და ამანათს უტოვებდა. „რუსთავი 2-მა“ ექსკლუზიურად გაარკვია, რომ 42 მილიონი ევროს გამოძალვის ბრალდებით დაკავებული ალბანეთის მოქალაქე, ფიორი დალიპია.

ქალი ქართველმა სამართალდამცველებმა გერმანიის მოთხოვნით აიყვანეს. გაირკვა, რომ ის, ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეზე ტრანსნაციონალური თაღლითობის ბრალდებით, წითელი ცირკულარით იძებნებოდა. საერთაშორისო გამოძიებით დადგინდა, რომ ფიორი დალიპი თაღლითურ სქემაში 50-ზე მეტი პირისგან შემდგარ ჯგუფს აკონტროლებდა. მას ევალებოდა სხვადასხვა ქვეყანაში ქოლ-ცენტრების გამართული მუშაობის კონტროლი და მოქალაქეებისთვის ყალბი საინვესტიციო შეთავაზებების მომზადება, რის შედეგად თაღლითური დაჯგუფების ანგარიშებზე ათობით მილიონი ევრო ხვდებოდა.

## თბილისის მერიის თანამშრომელს პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალეს

**ვაკის პარკის საქმეზე დაკავებულ თბილისის მერიის თანამშრომელს, გიორგი ვახტანგაშვილს პატიმრობა შინაპატიმრობით შეუცვალეს.**

ვახტანგაშვილს კვლავ ბრალდებულის სტატუსი აქვს და მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები გაგრძელდება.

ვახტანგაშვილი თბილისის მერიაში გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით იყო აღძრული, რაც ითვალისწინებს სამსახურებრივ გულგრილობას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი; შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შედეგად, 13 წლის მარიტა მეფარიშვილი დაიღუპა. 2 მოზარდი – ანდრია ლორთქიფანიძე და ლაზარე ლობჟანიძე კი – დაშავდა. აღნიშნულ საქმეზე 9 პირი დააკავეს.

## უდიდესი საუფლო დღესასწაული მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა

**15 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მირქმას (მიგებებას) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

...ცნობილია, რომ, როცა იესო ქრისტე ორმოცი დღის შესრულდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არ აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.



...სულიწმინდის მადლით ცხებული მართალი სვიმეონი ტაძარში ჩვილით მისულ მარიამსა და მართალ იოსებს მიეგება. იგი ერთ-ერთი იმ 70 ებრაელთაგანი იყო, რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნა ბიბლია. სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია „ჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

...მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“.

360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი“.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ – არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება – და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

გილოცავთ სრულიად საქართველოს ამ უდიდეს საუფლო დღესასწაულს!

**გიული ლიპარტია**

---

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

### გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტში შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაციის“ მიერ 110 კვ. ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

**დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:**

- **2024 წლის 19 მარტი, 16:00 საათი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ურავის კულტურის სახლის შენობა**
- **2024 წლის 20 მარტი, 11:00 საათი, ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობა (მის: კახაბერის ქ. №4)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **10 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 თებერვალი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება

### რეგისტრირებულ კოოპერატივ „რკ მებადურის“ წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**რეგისტრირებული კოოპერატივი: საფირმო სახელწოდება:** „რკ მებადური“; ს/კ 245415331.

**საერთო კრების მიზანი:** რეგისტრირებული კოოპერატივის ხელახალი რეგისტრაცია.

**საერთო კრების ჩატარების დრო:** 2024 წლის 16 მარტს, 14:00 საათი.

**საერთო კრების ჩატარების ადგილი:** ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. №33, შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“

**საერთო კრების სტატუსი:** რიგგარეშე საერთო კრება

### კრება გაიმართება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კოოპერატივის ახალი წესდების შემუშავება, დამტკიცება და რეგისტრაცია;
2. სარეგისტრაციოდ წარსადგენ დოკუმენტაციაზე (წესდებასა და სადამფუძნებლო შეთანხმებაზე) ხელმომწერი უფლებამოსილი პირის განსაზღვრა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა;
4. გამგეობის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტა და ახალი წევრების არჩევა;
5. კოოპერატივის ხელმძღვანელი პირის არჩევა;
6. იურიდიული მისამართის ცვლილება;

### შენიშვნა:

საერთო კრებაზე უნდა გამოცხადდეს კოოპერატივის წევრთა არანაკლებ 2/3 (33 წევრი). ამ შემთხვევაში კრება იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 243 მუხლის, მე-2 ნაწილის შესაბამისად, საერთო კრების მონაწილეებს შესაძლებლობა გაქვთ, წარმოადგინოთ დღის წესრიგის საკითხებზე წინადადებები და დამატებები.

გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა პარტნიორთა რიგგარეშე კრებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**რეგისტრირებული კოოპერატივი „რკ მებადურის“**
**თავმჯდომარე შაქრო მახარაძე**

# ფიროსმანი ევროპული ტურნედან სამშობლოს დაუბრუნდა

**თითქმის ერთი წლის შემდეგ, ნიკო ფიროსმანის 50-ამდე ნამუშევარი საქართველოში დაბრუნდა და ისინი კვლავ ეროვნულ გალერეაში გამოიფინება. განახლებული ექსპოზიცია დამთვალიერებელს წარუდგენს ხელოვანის 20-მდე ნამუშევარს, მათ შორის მის შედევრებს: „მეთევზე წითელ პერანგში“, „ჟირაფი“, „აქტრისა მარგარიტა“, „ორთაჭალის ტურფები“ და სხვა.**

2023-2024 წლებში ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო მნიშვნელობის ოთხმა საგამოფენო ცენტრმა უმასპინძლა. დანიაში, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, გაიმართა ჩრდილოეთ ევროპაში მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა. ნიკო ფიროსმანაშვილის 50-ამდე ნამუშევარი ოთხი თვის განმავლობაში 250 000-მა დამთვალიერებელმა ნახა. ამის შემდეგ ექსპოზიციამ გადაინაცვლა შვეიცარიაში, ბეილერის ფონდში. ქართველი მხატვრის ნამუშევრები გამოი-




ფინა ბრიუსელში, საერთაშორისო ფესტივალ „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში გამართულ ორ მნიშვნელოვან გამოფენაზეც – „ავანგარდი საქართველოში. 1900-1936“ (სახვითი ხელოვნების ცენტრი „ბოზარი“) და „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ (ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმი).

# დედაქალაქს ჯონ მალკოვიჩი და ინგებორგა დაპკუნაიტე ეწვევიან



**თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, დედაქალაქს მსახიობები ჯონ მალკოვიჩი და ინგებორგა დაპკუნაიტე ეწვევიან.**

ცნობილი მსახიობების მონაწილეობით, მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, ტიმოფეი კულიაბინის სპექტაკლი „ბამბის მინდვრების სიმარტოვეში“ (ლატვიური „დაილეს“ თეატრის და ეკატერინა იაკიმოვას კოპროდუქცია) იხილონ. სპექტაკლი 22 და 23 მარტს, გრიბოედოვის თეატრში გაიმართება. 23 მარტს, 12:00 საათზე, თეატრ სახელოსნო 42-ში ჯონ მალკოვიჩი და ინგებორგა დაპკუნაიტე პროფესიონალებთან და მაყურებლებთან შეხვედრას გამართავენ. თბილისის საერთაშორისო ფესტივალი 2009 წელს თბილისის მერიის მხარდაჭერით დაფუძნდა. 15 წლის განმავლობაში ფესტივალმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 200-ზე მეტ საერთაშორისო კომპანიას უმასპინძლა. ფესტივალის სტუმრები იყვნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: რობერტ ლეპაჟი, ეიმუნტას ნეკროშიუსი, ჯორჯიო სტრელერი, პიპო დელბონო, სილვიუ პურკარეტე, აკრამ ჰანი, კშიშტოფ ვარლიკოვსკი, მაია კლეჩევსკა, ფილიპ ჟანტი, ალვის ჰერმანესი, ჯონ მალკოვი, ლუკაშ ტვარკოვსკი, ნინო ხარატიშვილი.



# საქართველო – ტურისტებისთვის უსაფრთხო ქვეყანა

**მსოფლიო სტატისტიკის ორგანიზაცია (World of Statistics) სოციალურ ქსელ X-ზე ორგანიზაცია Numbeo.com-ის მონაცემებზე დაყრდნობით აქვეყნებს სტატისტიკას, რომელიც ტურისტებისთვის ღამის საათებში გადასაადგილებლად უსაფრთხო ქვეყნებს ეხება.**

სტატისტიკის თანახმად, ევროპის ქვეყნებს შორის, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა ტურისტებისთვის ღამის საათებში გადასაადგილებლად. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, საქართველო მეოთხე ადგილზეა და ჩამორჩება მხოლოდ ხორვატიას, სლოვენიას და ისლანდიას. ასევე ჩანს, რომ საქართველო ტურისტების ღამით უსაფრთხოდ გადაადგილების მაჩვენებლით უსწრებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს.

# ფოთელთა „ჯაყოს ხიზნები“ თავისუფალ თეატრში

**ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი სამ დიდ ქალაქში გასტროლებს მართავს. პირველი სპექტაკლი – „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც რეჟისორმა ნიკა ჩიკვაიძემ დადგა, მაყურებელმა თავისუფალ თეატრში ნახა. წარმოდგენას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.**

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: გენადი შონია, ანი ანდღულაძე, გია სურმავა, რამინ კილასონია, შოთა სასანია, ალიკა ცეკვაშვილი, ნიკა კვარაცხელია, გუგა დვალიშვილი. მხატვარია ანანო დოლიძე, ქორეოგრაფი – ირინა კუპრავა. ფოთის თეატრის საგასტროლო ტურნეს ფარგლებში 28 თებერვალს ქუთაისის დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იქნება რეჟისორ საბა ასლამაზიშვილის სპექტაკლი „ყვარყვარე“, ხოლო 2 მარტს ბათუმის დრამატულ თეატრში მაყურებელი ნახავს ასევე საბა ასლამაზიშვილის სპექტაკლს – „ქარიშხალი“.

# ყველასგან განსხვავებული სუნამო გვასალიასგან



**BALENCIAGA-ს შემოქმედებითი დირექტორი, მოდის დიზაინერი, წარმოშობით ქართველი დემნა გვასალია პირველ სუნამოზე მუშაობს,** რომელიც დიზაინერის განცხადებით, ყველასგან განსხვავებული იქნება.

**„სუნამოს არ ექნება სურნელი ისეთი, როგორიც ხალხს წარმოუდგენია“,** – ამბობს დიზაინერი. გვასალიას პარფიუმერიის ხაზი 2025 წლის პირველ ნახევარში ამოქმედდება. მომავალი ბრენდის სახელი ჯერჯერობით უცნობია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გამოიწერეთ, იყიდეთ,
იკითხეთ 105 წლის
„საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:
შპს „ელვა ჯი“ 595 382 626; 2 38 26 73;
2 38 26 74577 308 847
შპს „პლანეტა ფორტე“ 579 79 99 08; 599 94 73 11
წერილები გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:
თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116,
„დიდუბე პლაზა“ – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.
ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე GEO90BG0000000538329790
შპს „100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“,
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 16 თებერვალს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6543; ევრო - 2.8584;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3455;
100 რუბლი - 2.9213; თურქული ლირა - 0.0865;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5613;
1000 სომხური დრამი - 6.5798

**ამინდი 14 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +17 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +20 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge